F-171
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა
და
ინსტრუქციათა
კრებული

თბილისი
1981

მაისი № 5 МАЙ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК
ПРИКАЗОВ
И
ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-4864

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 15 იანვრის

გადაწყვეტილება

ინტერნატულ დაწესებულებებში სასწავლო-საცდელი ნაკვეთებისა და დამხმარე მეურნეობების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111 დადგენილებით „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 ივნისის № 404 დადგენილებით „რესპუბლიკის საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გადაჭრით გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ დასახულ ამოცანათა შესრულების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია განათლების ადგილობრივი ორგანოების ყურადღება მიაპყროს ინტერნატულ დაწესებულებებში სასწავლო-საცდელი ნაკვეთებისა და დამხმარე მეურნეობების შემდგომი სრულყოფის საქმეს.

ინტერნატულ დაწესებულებებთან არსებული კარგად ორგანიზებული დამხმარე მეურნეობები წარმოადგენს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტურობის ამაღლების, ინტერნატული დაწესებულებების წარმოებებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან კავშირის განმტკიცების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას.

შემოწმებამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის რიგ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებს გააჩნიათ კარგად მოწყობილი სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები და დამხმარე მეურნეობები, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის, აღსაზრდელთა კვების გაუმჯობესების, ინტერნატული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, აღსაზრდელებში შრომითი ჩვევების გამომუშავების და მათი პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბების საქმეში. კარგი დამხმარე მეურნეობები აქვთ ბათუმის № 2, ატენის, გურჯაანის, რუსთავის, ინგირის, ლან-

კ. მარ... სახ. საქ. სსრ
სახელ... ...ოკ რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ჩხუთის, კოხნარის, ბუნიკაურის, ლაჯანურის, ბროწეულას, კორის სკოლა-ინტერნატებს, მახინჯაურის, ლენინგორის, კარდანახის, ეწერის და ვაშლოვანის საბავშვო სახლებს.

აღნიშნულ ინტერნატულ დაწესებულებებში აღსაზრდელთა შრომითი აღზრდა და პროფესიული ორიენტაცია ხორციელდება იმ ძირითად ამოცანებთან მჭიდრო კავშირში, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 18 აპრილის № 286 „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლა-აღზრდისა და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 9 ნოემბრის № 672 „მოსწავლეთა შრომითი სწავლების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზების შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ დადგენილებების მიხედვით.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბათუმის № 2 სკოლა-ინტერნატის დამხმარე მეურნეობა. სკოლა-ინტერნატმა 6,2 ჰა ფართობიდან მოიწია 62 ტ. ციტრუსოვანთა ნაყოფი, 10 ტ. ხილი, 18,5 ტ. ბოსტნეული, 7,5 ტ. ჩაის ფოთოლი, 3 ტ. ღორის ხორცი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. მეურნეობის შემოსავალი ყოველწლიურად 35—40 ათასი მანეთია, რაც ძირითადში ინტერნატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას და აღსაზრდელთა კვების ხარჯების გადიდებას ხმარდება (კვების თანხა აღნიშნულ ინტერნატში გაზრდილია 12 კაპიკით).

რუსთავის სკოლა-ინტერნატის დამხმარე მეურნეობამ გასულ წელს ინტერნატს 16.000 მანეთი შემოსავალი მისცა, გურჯაანის სკოლა-ინტერნატის მეურნეობამ 6.000 მან., ხოლო მახინჯაურის საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობამ 4 500 მანეთი.

აღნიშნულ სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-საცდელ ნაკვეთებსა და დამხმარე მეურნეობებში აღსაზრდელთა შრომის გარკვეული სისტემა შეიქმნა. მოსწავლეები ასაკის გათვალისწინებით ასრულებენ ძირითად საველე სამუშაოებს, იძენენ ბაღჩეული კულტურების გამოზრდის, სათბურებში მუშაობისა და ბაღის მოვლის ჩვევებს. ჩამოთვლილ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დამხმარე მეურნეობებში აღსაზრდელთა შრომის ორგანიზაციის საქმეში ხელმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძღვანელ როლს ასრულებენ მოსწავლეთა თვითმმართველობები. მოსწავლეთა კომიტეტების შრომითი კომისიები გეგმავენ რგოლებისა და კლასების მუშაობას, აწარმოებენ მის ანგარიშს, ატარებენ შეჯიბრებას და აჯამებენ შედეგებს.

ამასთან დადგენილია, რომ რესპუბლიკის ყველა ინტერნატულ დაწესებულებაში სათანადო ყურადღება როდი ექცევა აღმზრდელობითი მუშაობის ამ მნიშვნელოვან უბანს. ზოგიერთ სკოლა-ინტერნატთან და საბავშვო სახლთან არსებული დამხმარე მეურნეობები ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას, გადაიქცნენ არარენტაბელურ მეურნეობებად. სისტემატურად არ სრულდება დამტკიცებული გეგმები. ასეთთა შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ქ. ფოთის, ჯავის, კასპის, თიანეთის, წითელწყაროს, ბაბუშერას, ლენინგორის და ჩხოროწყუს რაიონების სკოლა-ინტერნატებთან არსებული დამხმარე მეურნეობები.

ნელი ტემპით მიმდინარეობს წინა წლებში უმიზეზოდ გაუქმებული დამხმარე მეურნეობების აღდგენა და სრულყოფა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის № 404 დადგენილებით სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს ევალებოდათ ინტერნატული დაწესებულებებისათვის გამოეყოთ მიწის ნაკვეთები დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად და კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ერთად ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი აღნიშნულ ნაკვეთებზე სანიმუშო სასწავლო და დამხმარე მეურნეობების მოწყობისათვის. მიუხედავად აღნიშნულისა, ყვარლის, ახალსოფლის, კირნათის, ტაშისკარის სკოლა-ინტერნატებს, ასპინძის, ყაზბეგის კოჯრის 1-ლ და მე-4 საბავშვო სახლებს დღემდე არ გააჩნიათ მიწის ნაკვეთები დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და ინტერნატული დაწესებულებების ხელმძღვანელები არ იჩენენ ჯეროვან ინიციატივასა და მომთხოვნელობას სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების გამოყოფის და დამხმარე მეურნეობების ორგანიზაციის საქმეში, სუსტია კონტაქტები კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, აღსაზრდელები სათანადოდ ვერ ეცნობიან სოფლის მეურნეობის წარმოების საფუძვლებს, დაბალია ამ მიმართებით მათი თეორიული ცოდნის დონე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერნატულ დაწესებულებებთან არსებული სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და დამხმარე მეურნეობების ორგანიზაციის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

1. 1. ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და საფინანსო ორგანოებთან ერთად მიაღწიონ ინტერნატული დაწესებულებებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფას და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სრულყოფილი დამხმარე მეურნეობების შექმნას, შეიმუშაონ არსებული მეურნეობების სრულყოფის და მათი სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

1. 2. ადგილობრივ საბჭოთა, სამეურნეო და საფინანსო ორგანოებთან ერთად ყოველწლიურად განუსაზღვრონ დამხმარე მეურნეობებს საწარმოო გეგმა და დააწესონ მკაცრი კონტროლი მის შესრულებაზე.

1. 3. იზრუნონ ინტერნატულ დაწესებულებებთან არსებული საცდელი მიწის ნაკვეთების და დამხმარე მეურნეობების სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. ფართოდ გამოიყენონ ამ მიმართებით შეფი ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

2. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორებმა:

2. 1. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ხელმძღვანელობას და კონტროლს დამხმარე მეურნეობების ორგანიზაციის და ფუნქციონირების საქმეში; ხელმძღვანელებად შეარჩიონ ამ საქმის კარგი სპეციალისტი პირები და შექმნან გარკვეული სისტემა დამხმარე მეურნეობებში აღსაზრდელთა მუშაობისათვის.

2. 2. მიაღწიონ დამხმარე მეურნეობებში აღსაზრდელთა შრომის სწორ ორგანიზაციას. დააკისრონ ამ საქმეში წამყვანი როლი მოსწავლეთა თვითმმართველობას, რომ მოსწავლეთა კომიტეტების შრომითი კომისიები გეგმავდნენ სკოლებისა და კლასების მუშაობას, ატა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებდნენ ურთიერთშორის შეჯიბრებებს და სამეურნეო წლის ბოლოს ახდენდნენ მათ შეჯამებას.

2. 3. უზრუნველყონ შრომის დაცვის კანონმდებლობის განუხრელად შესრულება, მკაცრად დაიცვან ტექნიკის უსაფრთხოების წესები და საწარმოო სანიტარული ნორმები.

2. 4. დამხმარე მეურნეობებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მოხმარდეს აღსაზრდელთა კვების გაუმჯობესებას, ჭარბი პროდუქტების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი მოხმარდეს ინტერნატული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ჩატარებას, აღსაზრდელთა წამახალისებელ ღონისძიებათა დანერგვას.

2. 5. ყოველწლიურად (25 იანვრამდე) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში (მომარაგების მთავარ სამმართველოში) წარმოადგინონ ანგარიში დამხმარე მეურნეობების საწარმოო გეგმების შესრულების შესახებ და ხარჯთაღრიცხვების პროექტები მომავალი სამეურნეო წლისათვის.

2. 6. რესპუბლიკური დაქვემდებარების ინტერნატულმა დაწესებულებებმა დამხმარე მეურნეობის საწარმოო გეგმები, ადგილობრივ საფინანსო ორგანობთან შეთანხმების შემდეგ დასამტკიცებლად წარმოადგინონ განათლების სამინისტროში (საგეგმო-საფინანსო სამმართველო).

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. თ. ჩიტაძე) საწარმოო გეგმების განხილვის დროს გაითვალისწინოს აღსაზრდელთა მაქსიმალური მომარაგების დაგეგმვა დამხმარე მეურნეობებიდან შემოსული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

4. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) უზრუნველყოს ინტერნატულ დაწესებულებებთან არსებული დამხმარე მეურნეობები აუცილებელი ტექნიკით და შეუფერხებლად მოამარაგოს ისინი კომბინირებული საკვებით, შხამ-ქიმიკატებით და სასუქებით.

5. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ბ. აფხაზავა) უზრუნველყოს ინტერნატული დაწესებულებების დამხმარე მეურნეობებისათვის საჭირო შენობათა პროექტების დამუშავება პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმების გზით და გამოყოს მათი მშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებლობისათვის მასალები კაპიტალური შეკეთებისათვის განკუთვნილი რესურსებიდან.

6. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ჰ. თუთბერიძე) დააწესოს კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე.

მინისტრი **ო. ჭინჭლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. დ. ჭინჭლაძე
1981 წელი, 15 იანვარი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სასწავლო-საცდელი დამხმარე მეურნეობების შ ე ს ა ხ ე ბ

I. ზოგადი დებულებანი

1. სასწავლო-საცდელი დამხმარე მეურნეობა იქმნება სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელთა შრომითი აღზრდის, მათი საზოგადოებრივ-სასარგებლო საწარმოო შრომაში ჩაბმისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

2. სასწავლო-საცდელი დამხმარე მეურნეობები ინტერნატულ დაწესებულებებთან იქმნება საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანებით, განათლების განყოფილების (ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებებისათვის) ან დაწესებულების დირექტორის (რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებებისათვის) წარდგინების საფუძველზე, რომელიც წინასწარ შეთანხმებული უნდა იქნას სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომთან. სასწავლო-საცდელი დამხმარე მეურნეობა უშუალოდ ემორჩილება სკოლა-ინტერნატის ან საბავშვო სახლის დირექტორს.

3. მიწის ნაკვეთის სიდიდე, საქონლის, ფრინველის და ა. შ. რაოდენობა განისაზღვრება აღსაზრდელთა კონტინგენტის, მათი შრომითი აღზრდის ამოცანებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნილებათა მიხედვით.

4. სასწავლო-საცდელ დამხმარე მეურნეობაში მკაცრად უნდა იქნას დაცული შრომის დაცვის კანონი, ტექნიკური უსაფრთხოების წესები და საწარმოო-სანიტარული ჰიგიენის ნორმები.

5. სასწავლო-საცდელი დამხმარე მეურნეობის საწარმოო საქმიანობის საფუძველი არის საწარმოო გეგმა, რომელსაც ადგენს განათლების განყოფილება (ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებებისათვის) ან დაწესებულების დირექტორი (რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებებისათვის) და ამტკიცებს საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველო.

II. მუშაობის ორგანიზაცია

1. სასწავლო-საცდელ დამხმარე მეურნეობას ხელმძღვანელობას უწევს გამგე, რომელიც თავისი საქმიანობით ექვემდებარება სკოლა-ინტერნატის ან საბავშვო სახლის დირექტორს. დირექტორი განაგებს მეურნეობის ფულად სახსრებსა და მატერიალურ ფასეულობებს, პასუხს აგებს აღსაზრდელთა შრომის ორგანიზაციაზე.

2. დამხმარე მეურნეობის გამგე უზრუნველყოფს მუშაობის სწორ ორგანიზაციას შრომის დაცვის კანონების შესაბამისად, ასრულებს საწარმოო გეგმას, ადგენს გეგმასა და მუშაობის განრიგს, რომელიც დამტკიცებული უნდა იქნას სკოლა-ინტერნატის ან საბავშვო სახლის დირექტორის მიერ.

დამხმარე მეურნეობის გამგე არის სკოლა-ინტერნატის ან საბავშვო სახლის პედაგოგიური საბჭოს წევრი.

3. დამხმარე მეურნეობის საწარმოო მომსახურება უნდა განხორციელდეს საშუალო ან უფროსი სასკოლო ასაკის აღსაზრდელების მიერ (დღეში 2—3 საათის დატვირთვით) და დაქირავებული საშტატო და სეზონური მუშახელის მიერ, რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღსაზრდელთა რიცხვის 10%-ს. მუდმივი და სეზონური მუშახელის შტატები განისაზღვრება დასამუშავებელი მიწის ნაკვეთის (ბაღის, ბოსტნის) სიდიდით, საქონლის რაოდენობით და სხვა და მტკიცდება სახალხო განათლების განყოფილების მიერ შესაბამის საფინანსო ორგანოებთან შეთანხმებით, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების ინტერნატული დაწესებულებების — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საეგგმო-საფინანსო სამმართველოს მიერ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსთან შეთანხმებით.

აკრძალულია აღსაზრდელთა ღამის მძიმე და ჯანმრთელობისათვის საზიანო სამუშაოებით დატვირთვა.

III. პროდუქცია

1. სასწავლო-საცდელი დამხმარე მეურნეობებიდან მოწეული მოსავალი არის სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების კუთვნილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სკოლა-ინტერნატებმა და საბავშვო სახლებმა დამხმარე მეურნეობებიდან მიღებული და მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქციისაგან მორჩენილი ნაშთი შეიძლება, საჭიროებისა და ფასიანობის გამოკლებით, საცალო ფასებში გადასცენ სხვა ინტერნატულ დაწესებულებებს ან საჭირო ქსელის საშუალებით რეალიზაცია გაუკეთონ ეკომისიო **საწყისებით.**

IV. დამხმარე მეურნეობის სახსრები

1. სასწავლო-საცდელი დამხმარე მეურნეობის სახსრებს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციით მიღებული თანხა.

2. სასწავლო-საცდელი დამხმარე მეურნეობის სახსრების ხარჯვა წარმოებს **საწარმოო-ფინანსური** გეგმის მკაცრი დაცვით, სპეციალურად დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

3. არსებულ განკარგულებათა შესაბამისად დამხმარე მეურნეობების შემოსავალი შეიძლება დაიხარჯოს:

ა) იარაღ-მოწყობილობათა და პირუტყვის შეძენაზე, ასევე დამხმარე სათავსოებისა და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობაზე, კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების გეგმის ზევით, სპეცსახსრებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

ბ) სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების კვების გაუმჯობესებისათვის დადგენილ ასიგნებათა გასაზრდელად, ასევე ბავშვებთან კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარებაზე.

4. სასწავლო-საცდელი დამხმარე მეურნეობის დანახარჯების დოკუმენტაცია ძალაშია სკოლა-ინტერნატის, საბავშვო სახლის დირექტორის და ბუღალტრის ხელმოწერით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს აღნიშნული დაწესებულების შესაბამისი ბეჭდით.

5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სასწავლო-საცდელი დამხმარე მეურნეობები თავისუფლდებიან სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისა და პროდუქტების რეალიზაციის ბრუნვის გადასახადისაგან.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების
სამმართველო

«УТВЕРЖДАЮ»

Министр просвещения Грузинской ССР ——— О. Д. КИНКЛАДЗЕ

15 января 1981 года

ПОЛОЖЕНИЕ

об учебно-опытном подсобном хозяйстве школ-интернатов и детских домов Министерства просвещения Грузинской ССР

I. Общие положения

1. Учебно-опытное подсобное сельское хозяйство создается в целях трудового обучения и участия воспитанников школ-интернатов и детских домов в общественно-полезном производственном труде, а также для улучшения условий их содержания.

2. Учебно-опытное подсобное сельское хозяйство при школах-интернатах и детских домах создается по представлению отдела народного образования, а при учебных заведениях республиканского подчинения Министерства просвещения Грузинской ССР по представлению директора учебного заведения, согласованному с местным исполнительным комитетом Совета народных депутатов, приказом Министра просвещения Грузинской ССР и непосредственно подчиняется директору школы-интерната или детского дома.

3. Размер земельного участка, а также количество скота, птицы и т. д. определяются в зависимости от контингента воспитанников и задач их трудового обучения, а также от потребности в сельскохозяйственной продукции.

4. В учебно-опытном подсобном сельском хозяйстве должны строго соблюдаться законы об охране труда, правила и нормы техники безопасности и производственной санитарии.

5. Основной производственной деятельности учебно-опытного подсобного сельского хозяйства является производственный план, который по представлению соответствующего от-

ეროვნული ბიბლიოთეკა

дела народного образования (для учреждений местного подчинения) и (для учреждений республиканского подчинения) по представлению директора учебного заведения утверждается Планово-финансовым управлением Министерства просвещения Грузинской ССР.

II. Организация работы

1. Учебно-опытное подсобное сельское хозяйство возглавляется заведующим, который в своей деятельности подчиняется директору школы-интерната или детского дома. Директор является распорядителем всех денежных средств и материальных ценностей хозяйства, а также ответственным за организацию труда воспитанников.

2. Заведующий хозяйством обеспечивает правильную организацию работ в соответствии с законами об охране труда, выполнения производственного плана, составляет план и распорядок работы в хозяйстве, утвержденные директором школы-интерната или детского дома. Заведующий хозяйством является членом педсовета.

3. Производственное обслуживание подсобного хозяйства осуществляется воспитанниками среднего и старшего школьного возраста с загрузкой их от 2 до 3 часов в день, а также наемными штатными и сезонными рабочими в количестве, не превышающем 10% от числа воспитанников. Штаты постоянных и сезонных рабочих определяются размером обрабатываемой земли, наличием сада, огорода, количества скота и др. и утверждаются отделом народного образования по согласованию с соответствующим финорганом, а в учреждениях республиканского подчинения утверждаются Планово-финансовым управлением Министерства просвещения Грузинской ССР по согласованию с Управлением школ-интернатов и детских домов.

Запрещается привлекать воспитанников для работы в

ночное время, а также для выполнения тяжелых и вредных для здоровья работ.

4. Расходы, связанные с выплатой заработной платы рабочим и служащим, производятся за счет доходов хозяйства от его производственной деятельности.

III. Продукция

1. Урожай учебно-опытного подсобного участка сельского хозяйства поступает в распоряжение школы-интерната или детского дома.

2. Излишки сельскохозяйственной продукции подсобного хозяйства, оставшиеся после удовлетворения потребностей школ-интернатов или детского дома, могут быть переданы другим учреждениям по розничным ценам, за вычетом торговой наценки или для реализации на комиссионных началах в торговую сеть.

IV. Средства подсобного сельского хозяйства

1. *Средства подсобного* сельского хозяйства составляются из поступлений от реализации сельскохозяйственной продукции.

2. Расходование средств подсобного хозяйства производится в строгом соответствии с производственно-финансовым планом и утвержденной сметой по специальным средствам.

3. В соответствии с существующими распрояжениями, доходы подсобного сельского хозяйства расходуются:

а) на приобретение оборудования, скота, а также на строительство подсобных помещений и хозяйственных построек, в пределах утвержденных смет по специальным средствам сверх планов финансирования капиталовложений;

б) на улучшение питания воспитанников школ-интернатов и детских домов сверх установленных ассигнований на

питание, а также на проведение культурно-массовых мероприятий с детьми.

4. Расходные документы подсобного сельского хозяйства действительны только при наличии на них подписей директора школы-интерната или детского дома, бухгалтера школы-интерната или детского дома с соответствующей печатью указанных заведений.

5. Школы-интернаты и детские дома освобождаются от обязательных поставок государству сельскохозяйственных продуктов с учебно-опытного сельского хозяйства и налогов с оборота за реализацию продукции.

Управление школ-интернатов и детских домов

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1981 წლის 2 თებერვლის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 49

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ყველა ტიპის სკოლებში ბეჭდის, შტამპისა და აბრის ახალი ნიმუშის შემოღების შ ე ს ა ხ ე ბ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 8 სექტემბრის № 749 დადგენილებით მოწონებული „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების“ 61-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1971 წლის 25 თებერვალს მიღებული № 137 ბრძანების მიუხედავად, საქართველოს რიგი რაიონებისა და ქალაქების სკოლებში დღემდე ჯერ კიდევ არ შეუცვლიათ აბრა, შტამპი და ბეჭედი. ამასთან, რესპუბლიკის რიგ დასახელებულ პუნქტებში, სადაც ერთი და იგივე ტიპის რამდენიმე სკოლაა, დღემდე არ არის შემოღებული ნუმერაცია, რის გამოც სასწავლო დაწესებულებებს ერთმანეთისაგან მხოლოდ სწავლების ენით ანსხვავებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთი ტიპის სასწავლო დაწესებულების სახელწოდებაში შეტანილია არსებითი ხასიათის ცვლილებები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ყველა ტიპის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების ბეჭდის, შტამპისა და აბრის ახალი ტექსტები თანდართული ნიმუშების მიხედვით.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა და ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

2. 1. 1981 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული ნიმუშების მიხედვით ბეჭდის, შტამპისა და აბრის შემოღება, მათ შორის პირველ რიგში ახლად გახსნილ ან სახელწოდებაშეცვლილ სკოლებში.

2. 2. დასახლებულ პუნქტებში ერთი და იგივე ტიპის ერთზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი სკოლის არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი აღმასკომების გადაწყვეტილებით მიაკუთვნონ მათ რიგითი ნომერი.

3. ბეჭდისა და შტამპის დამზადებაზე ნებართვის მისაღებად სკოლის ხელმძღვანელებმა მილიციის ორგანოებში უნდა წარადგინონ წერილობითი შუამდგომლობა ,რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ბეჭდისა და შტამპის ნიმუშები (ესკიზები) ორ ეგზემპლარად.

F-4864

მინისტრი ო. ჭინჭლაძე

ქ. მან. [illegible] ...ახ. საქ. სსრ
სახ[illegible] ...ოკ. რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრის 1981 წლის 2 თებერვლის № 49
ბრძანების დანართი

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ყველა ტიპის სკოლებში ბეჭდის, შტამპისა და აბრის ნიმუშებისა

1. ყველა ტიპის სკოლებში გერბიან ბეჭედს აქვს მრგვალი ფორმა, რომლის გარშემოწერილობის დიამეტრის სიგრძე 45—50 მმ, ხოლო შიდა წრისა — 26 მმ (დასაშვებია პლუს-მინუს 1 მმ).

ბეჭდის ცენტრში უნდა იყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი, გარე წრეზე წარწერა — „საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო“ სკოლის სრული დასახელება ქართულ ენაზე, შიდა წრეზე კი — რუსულ ენაზე (დაწყებითი სკოლის ბეჭედი მზადდება გერბის გარეშე).

მაგალითად:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
   ქ. თბილისის № 1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლა
2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
   ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის № 25 საშუალო სკოლა
3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
   აფხაზეთის ასსრ ქ. გაგრის № 2 საშუალო სკოლა
4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
   წყალტუბოს ზონა ფარცხანაყანევის № 2 საშუალო სკოლა
5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
   სამხრეთ ოსეთის ა/ოლქი, ქ. ცხინვალის № 4 საშუალო სკოლა
6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
   მცხეთის რაიონი საგურამოს საშუალო სკოლა
7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
   ხაშურის რაიონი ტაშისკარის რესპუბლიკური სანატორიული სკოლა-ინტერნატი
8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
   ქ. თბილისის რესპუბლიკური სამუსიკო საშუალო სკოლა-ინტერნატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ქ. ქუთაისის დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლა
10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
გორის რაიონი დაუსწრებელი საშუალო სკოლა
11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ქ. თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ზამთრის სახეობების რეს-
პუბლიკური სპორტული სკოლა
12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ქ. თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ფრენბურთის სპეციალიზე-
ბული სპორტული სკოლა

2. სკოლების შტამპი მართკუთხედის ფორმისაა. შტამპზე გამო-სახული ტექსტი სრულად უნდა შეესატყვისებოდეს ბეჭედზე გამო-სახულ ტექსტს. შტამპის მარცხენა მხარეს ტექსტი გამოისახება ქარ-თულ ენაზე, ხოლო მარჯვნივ — ანალოგიური ტექსტი რუსულ ენაზე.

მაგალითად:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მცხეთის რაიონი, საგურამოს საშუალო სკოლა „——“——————19 №—————— ტელ. №———————	Грузинская ССР Министерство просвещения Сагурамойская средняя школа Мцхетского района «——»——————— 19 №—————— тел. №———————
2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონი № 54 საშუალო სკოლა „——“——————19 №—————— ფალიაშვილის ქ. № 59 ტელ. № 22-03-54	Грузинская ССР Министерство просвещения Орджоникидзевский район г. Тбилиси средняя школа № 54 «——»——————— 19 №—————— ул. Палиашвили, 59 тел. № 22-03-54

3. სკოლის აბრას უნდა ჰქონდეს სიგრძე 75 სმ და სიგანე 50 სმ. აბრის ტექსტი, სკოლის დაწვრილებითი დასახელებითა და ადგილ-მდებარეობით, მინაზე სრულდება თეთრი ასოებით ლურჯ ფონზე. აბრის ცენტრში, ტექსტის ზემოთ, მოთავსებულია 12 სმ დიამეტრის მქონე საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად:

საქართველოს სსრ გერბი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება ი. ა. კომენსკის სახელობის № 24 საშუალო სკოლა	Грузинская ССР Министерство просвещения Отдел народного образования Первомайского района г. Тбилиси средняя школа № 24 им. Я. А. Коменского

შენიშვნა: აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მდებარე სასწავლო დაწესებულების ბეჭედზე, შტამპსა და აბრაზე წარწერები კეთდება თანამიმდევრობით — მშობლიურ, ქართულ და რუსულ ენებზე.

სკოლების სამართველოს უფროსი კ. სუჯაშვილი

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს უფროსი გ. გუჯეჯიანი

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი ჰ. თუთბერიძე

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსი დ. კვინიკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

О введении новых образцов печатей, штампов и вывесок в школах всех типов системы Министерства просвещения Грузинской ССР

2 февраля 1981 года, № 49

Несмотря на приказ № 137 Министерства просвещения Грузинской ССР от 25 февраля 1971 года, принятый согласно пункта 61 «Устава средней общеобразовательной школы», одобренного постановлением Совета Министров СССР от 8 сентября 1970 года за № 749, во многих школах ряда городов и районов республики не введены новые образцы печатей, штампов и вывесок.

Вместе с этим, в ряде населенных пунктов республики, где имеются несколько школ однородного типа, по сей день не введена их нумерация, ввиду чего учебные заведения отличают друг от друга лишь по языку обучения. Необходимо отметить и то, что за последнее время в наименования отдельных учебных учреждений внесены существенные изменения.

Приказываю:

1. Утвердить новые образцы печатей, штампов и вывесок всех начальных, восьмилетних и средних школ по прилагаемым образцам.

2. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управлению народного образования г. Тбилиси:

2.1. до 1 сентября 1981 года обеспечить введение печатей, штампов и вывесок по образцам, разработанным Минпросом

ГССР и в первую очередь во вновь открывшихся или изменивших наименования школах.

2.2. в случае наличия в населенных пунктах более одной школы однородного типа по решению исполкомов местных советов присвоить им порядковый номер.

3. Для получения разрешения на изготовление печати и штампа руководители школ представляют в органы милиции письменное ходатайство, к которому прилагаются образцы (эскизы) печати и штампы в двух экземплярах.

Министр О. КИНКЛАДЗЕ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приложение
к приказу № 49 Минпроса ГССР от
2 февраля 1981 года

ОПИСАНИЕ

образцов печатей, штампов и вывесок начальной, восьмилетней, средней школ системы Министерства просвещения Грузинской ССР

1. Гербовая печать начальной, восьмилетней, средней школ должна иметь круглую форму с диаметром внешней окружности (ободка) в 45-50 мм и внутренней окружности (ободка) в 26 мм (разрешается допуск плюс-минус 1 мм).

Посредине печати помещается Государственный герб Грузинской ССР, по внешнему кругу — надпись на грузинском языке «Министерство просвещения Грузинской ССР» полное наименование школы, по внутреннему кругу — тот же текст на русском языке (начальная школа имеет печать без изображения герба).

Например:

1. Грузинская ССР Министерство просвещения Тбилисская Республиканская экспериментальная средняя школа №1.

2. Грузинская ССР Министерство просвещения Ленинский район г. Кутаиси средняя школа № 25.

3. Грузинская ССР Министерство просвещения Абхазская АССР г. Гагра средняя школа № 2.

4. Грузинская ССР Министерство просвещения Цхалтубская зона Парцханаканебская средняя школа № 2.

5. Грузинская ССР Министерство просвещения Цхинвальская средняя школа Юго-Осетинской автономной области № 4.

6. Грузинская ССР Министерство просвещения Мцхетский район Сагурамойская средняя школа.

7. Грузинская ССР Министерство просвещения Хашур-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ский район Ташискарская Республиканская санаторная школа-интернат.

8. Грузинская ССР Министерство просвещения Тбилисская Республиканская музыкальная средняя школа-интернат.

9. Грузинская ССР Министерство просвещения г. Кутаиси очно-заочная средняя школа.

10. Грузинская ССР Министерство просвещения Горийский район, заочная средняя школа.

11. Грузинская ССР Министерство просвещения Тбилисская детско-юношеская республиканская спортивная школа по зимним видам спорта.

12. Грузинская ССР Министерство просвещения Тбилисская детско-юношеская волейбольная специализированная спортивная школа.

2. Угловой штамп школы должен иметь прямоугольную форму. Текст, изображенный на угловом штампе, должен полностью соответствовать тексту, изображенному на печати. С левой стороны углового штампа изображается текст на грузинском языке, с правой стороны — анологичный текст на русском языке.

Например:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მცხეთის რ-ნი საგურამოს საშუალო სკოლა „——„————19 №———— ტელ. №————	Грузинская ССР Министерство просвещения Сагурамойская средняя школа Мцхетского района «——»————19 №———— тел. №————
2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ქ. თბილისის ორჯონიკიძის რ-ნი № 54 საშუალო სკოლა	Грузинская ССР Министерство просвещения Орджоникидзевский район г. Тбилиси, средняя школа № 54

ეროვნული ბიბლიოთეკა

„——„————————19
№————

ფალიაშვილის ქ. № 59
ტელ. № 22-03-54

«——»————————19
№————

ул. Палиашвили, 59,
тел. № 22-03-54

3. Вывеска школы должна иметь длину 75 см и ширину 50 см. Текст вывески выполняется на стекле белыми буквами на синем фоне с подробным наименованием школы и ее местонахождением. В центре над текстом помещается герб Грузинской ССР диаметром 12 см.

Например:

Герб Грузинской ССР

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება ი. ა. კომენსკის სახელობის № 24 საშუალო სკოლა	Грузинская ССР Министерство просвещения Отдел народного образования Первомайского района г. Тбилиси средняя школа № 24 им. Я. А. Коменского

Примечание: надпись на печатях, штампах и вывесках учебных заведений, расположенных на территориях Абхазской АССР и Юго-Осетинской АО, помещаются в проядке последовательности — на родном, грузинском и русском языках.

Начальник Управления школ — **К. Суджашвили**

Начальник Управления вечерних и заочных школ — **Г. Гуджеджиани**

Начальник Управления школ-интернатов и детских домов — **Г. Тутберидзе**

Начальник Управления физического воспитания и спорта — **Д. Квиникадзе**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 12 თებერვლის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რესპუბლიკის სახალხო განათლების ზოგიერთი განყოფილების მიერ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე მისავლინებელი კონტინგენტის 1980 წლის გეგმის შეუსრულებლობის შ ე ს ა ხ ებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური და მისდამი დაქვემდებარებული ინსტიტუტები სერიოზულ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის მასწავლებელთა და სახალხო განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათდამი მეთოდური დახმარების გაწევისა და ამის საფუძველზე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

ინსტიტუტების მიერ ამ მიზნით ეწყობა დახელოვნების კურსები, ტარდება მეთოდური სემინარები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, პრაქტიკაშია დანერგილი მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების საქმე. 1980 წელს საფუძვლიანად დამუშავდა რესპუბლიკის პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების პერსპექტიული ხუთწლიანი გეგმა, რომელიც უახლოეს დღეებში დაეგზავნება სახალხო განათლების განყოფილებებს, რაც არსებითად გააუმჯობესებს მასწავლებელთა და სახალხო განათლების დარგის სხვა მუშაკთა საკურსო ღონისძიებებში ჩაბმის საქმეს.

ინსტიტუტების მუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრებულია დახელოვნების ერთთვიანი, ერთწლიანი დასწრებულ-დაუსწრებელი და ორკვირიანი მიზნობრივი კურსები, სადაც მასწავლებლები და სახალხო განათლების ხელმძღვანელი მუშაკები იმაღლებენ ცოდნის დონეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში, პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, ხელოვნდებიან ცალკეული საგნების სწავლების მეთოდიკაში, სკოლის მეცნიერულად მართვისა და ხელმძღვანელობის საკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხებში. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ცენტრალური ინსტიტუტისა და მისდამი დაქვემდებარებული ინსტიტუტების მიერ გადამზადდა 34 ათასზე მეტი მასწავლებელი და სახალხო განათლების სხვა მუშაკი.

მიუხედავად ამისა, პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, მათი პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნების უზრუნველყოფის საქმეში ადგილი აქვს ნაკლოვანებებსაც, რაც, ძირითადად, გამოწვეულია რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და მეთოდური კაბინეტის მიერ ამ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით.

მიუხედავად იმისა, რომ დახელოვნების ცენტრალური და მისდამი დაქვემდებარებული ინსტიტუტების მიერ ჯერ კიდევ 1979 წლის დეკემბერში რესპუბლიკის ყველა რაიონისა და ქალაქის სახალხო განათლების განყოფილებებს დაეგზავნა განათლების მინისტრის ბრძანება, 1980 წლისათვის დახელოვნების კურსებზე გამოსაგზავნი კონტინგენტის სიებით, განათლების განყოფილებათა ერთმა ნაწილმა სათანადოდ ვერ შეაფასა ამ საქმის ორგანიზაციისათვის გაწეული მუშაობა, მოთხოვნები და არ იზრუნა დახელოვნების კურსებზე გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის მივლინებაზე.

მაგალითად, 1980 წლის იანვარში, თებერვალში, მარტში, აპრილში, მაის-ივნისსა და ოქტომბერში სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა დახელოვნების ერთთვიან კურსებზე გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტი არ გამოგზავნეს: ქ. თბილისის ოქტომბრის, ქ. ფოთის, ზუგდიდის, ქუთაისის ავტოქარხნის, ტყიბულის, ბოლნისის, საჩხერის, შუახევის, ახმეტის, გარდაბნის, წყალტუბოს, საგარეჯოს, ხობის, გალის, ოჩამჩირის, გეგეჭკორის რაიონებმა.

უფრო მეტიც, დასახელებული ქალაქებისა და რაიონების ზოგიერთი განათლების განყოფილების გამგეები: გ. ფრუიძე, ს. მელაძე, ბ. ჩაკაბერია, ა. ჩხეტია, ე. გობეჯიშვილი, გ. აბჟანდაძე, რ. ქათამაძე, შ. ხარებავა, ლ. შენგელია, ს. ფილია არ გამოცხადდნენ ცენტრალურ ინსტიტუტში ნოემბერ-დეკემბრის თვეში მოწყობილ განათლების განყოფილებათა გამგეების დახელოვნების ერთთვიან კურსებზე, რამაც გამოიწვია აღნიშნული კურსების დაკომპლექტების გეგმის შეუსრულებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სახალხო განათლების ზოგიერთი გახყოფილების მიერ დახელოვნების კურსებზე გამოსაგზავნი კონტინგენტისა და პირადი კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ასეთი არასერიოზული დამოკიდებულება აფერხებს რესპუბლიკის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების გეგმაზომიერ, რითმულ მუშაობას და საფრთხეს უქმნის თვეებისა და სპეციალობების მიხედვით საკურსო ღონისძიებებში მუშაკთა ჩაბმის გეგმის შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. გაფრთხილებულ იქნან კვალიფიკაციის ამაღლების ერთთვიან კურსებზე გამოუცხადებლობისა და დახელოვნების კურსებზე მისავლინებელი კონტინგენტის გეგმის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის განათლების განყოფილების გამგეები: ს. მელაძე (თბილისის ოქტომბრის რაიონი), გ. ფრუიძე (ქუთაისის ავტოქარხნის რაიონი), ბ. ჩაკაბერია (ქ. გაგრა), ა. ჩხეტია (ქ. ტყვარჩელი), ე. გობეჯიშვილი (ბოლნისი), გ. აბჟანდაძე (საჩხერე), რ. ქათამაძე (შუახევი), შ. ხარებავა (ხობი), ლ. შენგელია (გალი), ს. ფილია (ოჩამჩირე).

2. დაევალოს ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა და მეთოდური კაბინეტების გამგეებს სრული პასუხისმგებლობით მოეკიდონ მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს, უზრუნველყონ დახელოვნების კურსებზე მისავლინებელი კონტინგენტის გეგმის შესრულება.

3. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს (ამხ. მ. დარჩია) რეგულარულად მოახსენოს სამინისტროს კოლეგიას რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებისა და მეთოდური კაბინეტების მიერ დახელოვნების კურსებზე მისავლინებელი კონტინგენტის გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრის პირველი მოადგილე **ზ. ლომიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 12 თებერვლის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გაღრმავებული შრომითი სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ

სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საბაზო საწარმოების (ორგანიზაციების) დახმარებით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111 დადგენილების შესასრულებლად.

ჩატარებული მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საგრძნობლად გაფართოვდა მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ქსელი, საბაზო საწარმოებში (ორგანიზაციებში) გაიზარდა სასწავლო-საწარმოო საამქროების რიცხვი, ახალ მოთხოვნათა შესაბამისად გადამუშავდა და უფრო სრულყოფილი გახდა გაღრმავებული შრომითი სწავლების სასწავლო პროგრამები.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გაღრმავებულ შრომით სწავლებაზე გადაყვანის ერთიანი გეგმის შესაბამისად 1980—1981 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის 1696 საშუალო სკოლის IX—X კლასების 135381 მოსწავლე გადაყვანილია გაღრმავებულ შრომით სწავლებაზე. აქედან: სკოლის ბაზაზე — 1284 საშუალო სკოლის 96.795 მოსწავლე, შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში — 134 სკოლის 11.967 მოსწავლე, სამრეწველო საწარმოებში (ორგანიზაციებში) — 278 სკოლის 26.619 მოსწავლე.

საგრძნობლად გაიზარდა მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების რიცხვი გასულ ხუთწლედში. 1980—1981 სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლო წელს რესპუბლიკაში მუშაობს 19 ასეთი კომბინატი, ნაცვლად ერთისა 1975 წელს.

სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, სკოლებმა, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით, ერთგვარი მუშაობა ჩაატარეს საშუალო სკოლებისათვის საბაზო საწარმოების შერჩევის, სასწავლო-საწარმოო საამქროების, უბნების მოწყობის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო ნაკვეთების გამოყოფის, საწარმოო პროცესის ორგანიზებულად წარმართვისათვის. ამ მხრივ გამოირჩევა თბილისის კიროვისა და ლენინის სახელობის რაიონები, ქ. ქ. ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ჭიათურა და ფოთი.

ამასთან ერთად, შემოწმებით დადგინდა, რომ რესპუბლიკის ბევრ სკოლაში სახალხო განათლების განყოფილებათა და სკოლების ხელმძღვანელთა უყურადღებობის შედეგად გაღრმავებული შრომითი სწავლებისათვის დღემდე შექმნილი არაა მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დღემდე ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რომლებიც სკოლის წინაშეა დაყენებული მიმდინარე ეტაპზე.

სათანადოდ არაა მოწყობილი პროფილების მიხედვით თეორიული სწავლების სასწავლო კაბინეტები, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ექსპლუატაციის შედეგად მწყობრიდანაა გამოსული სასწავლო ავტომანქანები, ტრაქტორები, ბევრ სკოლაში სრულიად არაა სამონტაჟო-საზეინკლო სახელოსნოები, სასწავლო ავტომანქანებისა და ტრაქტორების სადგომი გარაჟები ტექნიკური მომსახურების პუნქტით, ავტომობილის და ტრაქტორის ტარების მოედნები. არასასურველი მდგომარეობაა ჭიათურის ზონის, ადიგენის, თერჯოლის, ახალციხისა და ბოლნისის რაიონების სკოლებში.

სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და სკოლებმა სათანადო მუშაობა ვერ გასწიეს საშუალო სკოლებისათვის საბაზო საწარმოების სწორად შერჩევის, სასწავლო-საწარმოო საამქროების მოწყობის, უბნების გამოყოფის, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო მიწის ნაკვეთების IX—X კლასების მოსწავლეებზე გაპიროვნებისა და საწარმოო პროცესების ორგანიზაციისათვის. ამ მხრივ ჯერ კიდევ სუსტია ზესტაფონის, სამტრედიის, ჩხოროწყუს რაიონებში გაწეული მუშაობა.

ნელი ტემპით ფართოვდება მოსწავლეთა შრომითი სწავლებ
და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ქსელი. მოქმედი ყველა სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი მოთავსებულია შეგუებულ შენობებში, რომელთაგან წნორის (სიღნაღის რაიონი), ჭოგნარის (თერჯოლის რაიონი), ჩაქვის (ქობულეთის რაიონი), ჩოხატაურის, ბათუმის ,გარდაბნის, გურჯაანის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები მოთავსებულია შეუფერებელ, მცირე ფართობის უხარისხო სათავსოებში, საამქროები რიტმულად არ მარაგდებიან მასალებით, შექმნილი არაა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები, სუსტადაა დაყენებული მოსწავლეთა თვითმმართველობა, ზოგჯერ არ ხდება მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქციის აღრიცხვა, მისი რეალიზაცია, ადგილი აქვს უხარისხო ნაწარმის გამოშვებას, რითაც საამქროები არარენტაბელური ხდებიან. ამასთან, საამქროების, უბნების მიღება არ ხდება ახალი სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მზადყოფნის მდგომარეობის შემმოწმებელი კომისიების მიერ.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატის დებულების საწინააღმდეგოდ თერჯოლის, თერჯოლის რაიონის ჭოგნარის, ჩოხატაურისა და თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში გაერთიანებულია ისეთი სკოლები, რომლებშიც ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე შემოღებული იყო ავტოსაქმე, სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება, მნაქანაზე წერა და ქონდათ საკუთარი ტექნიკა. შეუწყნარებელი ხასიათის დარღვევებს აქვს დგილი ტიპობრივი საშტატო ერთეულების ზევით მუშაკთა აყვანის, პრაქტიკული საწარმოო სწავლების ოსტატ-მასწავლებელთა და მოსწავლეთა შრომის ანაზღაურების საქმეში.

ზოგან შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სარაიონთაშორისო სარეგისტრაციო საგამოცდო ქვეგანყოფილებებში, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომებში არ ხდება რეგისტრაცია იმ სკოლებისა და სასწავლო ჯგუფებისა, რომლებშიც შემოღებულია ავტომძღოლების, მესამე კლასის ტრაქტორისტების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომზადება, რის გამოც კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი არ ფლობ-ბულობს ავტომანქანისა და ტრაქტორის მართვის მოწმობას.

ნაკლოვანებანი მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრ-დის საქმეში გამოწვეულია იმითაც, რომ ადგილობრივი სახალხო გა-ნათლების ორგანოები და მათი მეთოდური კაბინეტები ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს მოსწავლეთა შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზე-ბის განმტკიცებისათვის და ამ საქმეში საბაზო საწარმოების (ორგანი-ზაციების), საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების აქტიუ-რად ჩაბმისათვის. გაუმჯობესებას მოითხოვს შრომითი სწავლების მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის დადებითი გამოცდი-ლების შესწავლისა და განზოგადების საქმე.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხ-რეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, თბი-ლისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1. 1. შეისწავლონ და კოლეგიების და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ საკითხი მოსწავლეთა გაღრმავებუ-ლი შრომითი სწავლების მდგომარეობის შესახებ, შეიმუშაონ და გა-ნახორციელონ ღონისძიებანი მის გასაუმჯობესებლად;

1. 2. უზრუნველყონ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 22 მაისის გადაწყვეტილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანა-თლებლო სკოლებში შრომითი სწავლების მდგომარეობისა და გაუმ-ჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ დროულად შესრულება;

1. 3. მიაღწიონ საწარმოო მიწის ნაკვეთების გაპიროვნებასა და არსებულის სრულყოფას, ხელსაწყო-იარაღებითა და მცირე მექა-ნიზაციით იმ სკოლების უზრუნველყოფას, რომლებშიც შემოღებუ-ლია სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება შერჩეული პროფილების მიხედვით;

1. 4. დაამყარონ საქმიანი კონტაქტები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებს შორის, უზრუნველ-ყონ პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივების შეხვედრები, მოსწავლეთა ექსკურსიების ჩატარება პროფტექნიკურ სასწავლებ-ლებში, საჭიროების შემთხვევაში მათი საწარმოო ბაზების გამოყე-

ნება IX—X კლასების მოსწავლეთა გაღრმავებული შრომითი სწავ-
ლებისათვის, მწარმოებლური შრომისა და საწარმოო პრაქტიკისა-
თვის.

1. 5. შეიმუშაონ და განახორციელონ უფროსკლასელთა (IX—
X) გაღრმავებული შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური
ბაზების განმტკიცების პერსპექტიული (ხუთწლიანი) გეგმები, რო-
მელთა შესრულებაში განათლების ორგანოებთან ერთად ფართოდ
ჩაებან საბაზო საწარმოები (ორგანიზაციები), საბჭოთა მეურნეობე-
ბი და კოლმეურნეობები; სასწავლო-საწარმოო საამქროებში, უბნებ-
ში, მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტა-
ციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში ფარ-
თო მუშაობა გაშალონ ტექნიკურ შემოქმედებაში, რაციონალიზა-
ტორთა, გამომგონებელთა საქმიანობაში მოსწავლეთა ჩასაბმელად
და სამეცნიერო საზოგადოების (მსს) შესაქმნელად;

1. 6. გადამჭრელი ზომები გაატარონ სკოლებში უსაფრთხოების
ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, ჰიგიენის დაცვის მოსაგვარებლად,
დროულად უზრუნველყონ გაღრმავებული შრომითსწავლებიანი სკო-
ლების მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმება;

1. 7. მკაცრი კონტროლი დააწესონ გამოსაშვებ კლასებში მოს-
წავლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებაზე; უზრუნველ-
ყონ სათანადო მოწმობების გაცემა საშუალო სკოლების იმ კურსდამ-
თავრებულებზე, რომლებმაც შეისწავლეს ავტოსაქმე, მანქანაზე
წერა, თანამედროვე საქმისწარმოება, ტრაქტორის, კომბაინის, სხვა
სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტარება, აგრეთვე აგროტექნიკის
საფუძვლები, მეცხოველეობა;

1. 8. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საინსპექ-
ტორო შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ავტო-
საქმის, ტრაქტორების, საოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექ-
ნიკის, მეცხოველეობის საფუძვლებისა და მეცხოველეობის ფერმე-
ბის მექანიზაციის პროგრამებით გათვალისწინებული თემების შეს-
წავლის თანამიმდევრობას, მათთვის განკუთვნილი საათების რაციო-
ნალურად განაწილებას, სასწავლო მოწყობილობის გამართულობასა
და სწავლებაში მისი გამოყენების საკითხებს;

1. 9. მიიღონ ზომები გაღრმავებული შრომითი სწავლების მას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლებელთა გადამზადების გეგმების შესასრულებლად, საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ახალგაზრდა მასწავლებელთა დამატებ-რებელ სწავლებაში ჩასაბმელად, გაუმჯობესონ შრომითი სწავლების მასწავლებლების მეთოდგაერთიანებათა მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება; დააწესონ მკაცრი კონტროლი ატესტაციის შედეგად მასწავლებლებზე მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე;

1. 10. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლონ 1980—1981 სასწავლო წლიდან გაღრმავებულ შრომით სწავლებაზე გადაყვანილი ყველა საშუალო სკოლის სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადება-მოწყობის მდგომარეობა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაატარონ სათანადო ღონისძიებანი 1981—1982 სასწავლო წლიდან უფროსკლასელთა (IX—X) გაღრმავებული შრომითი სწავლების შეუფერხებლად წარმართვის მიზნით;

1. 11. აღკვეთონ მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში, საბაზო საწარმოთა (ორგანიზაციათა) მიერ შექმნილ სასწავლო საამქროებსა და უბნებში მოსწავლეთა პრაქტიკული შრომითი სწავლებისა და მწარმოებლური შრომის ხელმძღვანელ მასწავლებელთა და ოსტატთა შრომის ანაზღაურება სახალხო განათლების ბიუჯეტის ხარჯზე;

1. 12. არ დაუშვან მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში იმ საშუალო სკოლების გაერთიანება, რომლებშიც ზემდგომი ორგანოების დადგენილებებით შემოღებულია ავტოსაქმის, მანქანაზე წერისა და თანამედროვე საქმისწარმოების სწავლება და სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება;

1. 13. ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლებისა და მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით განახორციელონ საშუალო სკოლების მტკიცე კავშირი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რაისოფლტექნიკის“ განყოფილებებთან, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან, რომლებსაც აქვთ სასოფლო-სამეურნეო მანქანათა მძლავრი მეურნეობა.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია):

2. 1. უზრუველყოს საშუალო სკოლების უფროსი (IX—X) კლასების გაღრმავებული შრომითი სწავლების იმ მასწავლებელთა გადამზადება, რომლებიც სამუშაოდ გადავიდნენ წარმოებიდან სკოლებში და საჭიროებენ პედაგოგიურ დახელოვნებას;

2. 2. გითვალისწინოს 1981 წლისათვის დამტკიცებული გეგმის ზევით აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლო ინსპექტორების კურსების მოწყობა.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე):

3. 1. უზრუნველყოს 1981—1985 წლებში გაღრმავებული შრომითი სწავლების მასწავლებელთა დასახმარებლად მეთოდური ლიტერატურის: „მოსწავლეთა აზროვნების განვითარება და შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ფორმირება“, „მოსწავლეთა შემოქმედებითი შრომისადმი დადებითი დამოკიდებულების ფორმირება ტექნიკური შრომის პროცესში“ და „შრომისადმი მოსწავლეთა შემოქმედებითი დამოკიდებულების ფორმირებისა და განვითარების საფუძვლები“ გამოსაცემად მომზადება;

3. 2. 1981—1982 წლებში ახალი სასწავლო გეგმების შესაბამისად შეიმუშაოს და გამოსაცემად მოამზადოს გაღრმავებული შრომითი სწავლების სასწავლო პროგრამები მევენახეობაში, მეჩაიეობაში და მეციტრუსეობაში.

4. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) 1981 წელს უზრუნველყოს რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი და გამოსაცემად მომზადებული გაღრმავებული შრომითი სწავლების სასწავლო პროგრამების: „ტრაქტორები, მექანიზებული სამუშაოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ტექნოლოგია, აგროტექნიკა“; „მეცხოველეობის საფუძვლები“, მეცხოველეობის ფერმებისა და კომპლექსების მექანიზაცია, თვლიანი ტრაქტორი“, „მემინდვრეობის საფუძვლები“, „აგროქიმიის საფუძვლები“ და „მეტყევეობის საფუძვლები“ გამოცემა.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. თ. ჩიტაძე):

5. 1. ბიუჯეტში ყოველწლიურად გაითვალისწინოს საჭირო ცენტრალიზებული თანხები სასწავლო ავტომანქანების ,ტრაქტორების, ავტომანქანებისა და ტრაქტორის სასწავლო კაბინეტების შესაძენად იმ სკოლებისათვის, რომლებშიც შემოღებული იქნება ავტომძღოლებისა და სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება;

5. 2. შეიმუშაოს რეკომენდაციები გაღრმავებული შრომითი სწავლების მასწავლებელთა და ნაყოფიერ შრომაში ჩაბმულ მოსწავლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ.

6. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) არ დაუშვას სასწავლო ავტომანქანების, ტრაქტორების, ავტომანქანებისა და ტრაქტორის სასწავლო კაბინეტების კომპლექტების სკოლებზე გაცემა სკოლების სამმართველოს განაწილების გარეშე; სისტემატურად აწარმოოს სკოლებზე გაცემული ტექნიკის ზუსტი აღრიცხვა.

7. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ბ. აფხაზავა):

7. 1. შექმნას მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატის ტიპობრივი პროექტი;

7. 2. დააჩქაროს ორი სასწავლო ტრაქტორის სადგომი გარაჟის ტიპობრივი პროექტის მომზადება.

8. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) კონტროლი დააწესოს ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრის პირველი მოადგილე **ზ. ლომაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობა

რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გაღრმავებული შრომითი სწავლების მდგომარეობის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დეკემბრის (1977 წელი) „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აგვისტოს (1978 წელი) „მოსწავლეთა შრომითი სწავლების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 18 აპრილის № 286, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 9 ნოემბრის № 672 შესაბამისი დადგენილებების შესასრულებლად სახალხო განათლების ორგანოებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ პარტიულ, პროფკავშირულ, ადმინისტრაციულ, სამეურნეო, საბაზო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო გეგმებში გაიზარდა დრო შრომითი სწავლებისათვის, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დიდ ნაწილში მოწყობილია პროფესიული ორიენტაციის კაბინეტები ან კუთხეები, პედაგოგიური კოლექტივების ყურადღება მიპყრობილია მოსწავლეთა შრომითი აღზრდისადმი, მნიშვნელოვნად გაიზარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საგრძნობლად გაფართოვდა მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ქსელი, საბაზო საწარმოებში გაიზარდა სასწავლო-საწარმოო საამქროების რიცხვი, ბევრ სკოლაში შეიქმნა შრომითი სწავლების ერთიანი სისტემა, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს დაემატათ შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლო ინსპექტორის თითო საშტატო ერთეული, ახალ მოთხოვნათა შესაბამისად საფუძვლიანად გადამუშავდა და რუსულიდან ქართულ ენაზე ითარგმნა შრომითი სწავლების სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები და დებულება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სახელოსნოების შესახებ ინსტრუქციებიც დაიბეჭდა და დაეგზავნა სკოლებს, აგრეთვე რუსულიდან ქართულ ენაზე ითარგმნება და გამოსაცემად მზადდება ავტოსაქმისა და ტრაქტორების სახელმძღვანელოები საშუალო სკოლის IX—X კლასებისათვის.

განათლების ორგანოებმა პარტიული, ადმინისტრაციული და საზეურნეო ორგანიზაციების დახმარებით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის საბაზო საწარმოების შერჩევის, მძლავრ ქარხნებსა და ფაბრიკებში სასწავლო-საწარმოო საამქროების, საამქროებში უბნების მოწყობის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო ნაკვეთების გამოყოფის, მათში საწარმოო პროცესების ორგანიზებულად, მაღალი შრომის ნაყოფიერებით წარმართვის მიზნით.

სახალხო განათლების ორგანოებისა და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს, აგრეთვე, 1980—1981 სასწავლო წლიდან ყველა საშუალო სკოლის IX—X კლასების მოსწავლეთა გაღრმავებულ შრომით სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით საბაზო საწარმოს (ორგანიზაციის) შერჩევისა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების საქმეში.

ამასთან დაკავშირებით ორჯერ ჩატარდა ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლო ინსპექტორების რესპუბლიკური თათბირი, რომელზედაც მათ დაევალათ IX—X კლასებში გაღრმავებული შრომითი სწავლებისათვის საწარმოებთან შეთანხმებით საჭირო ბაზების შერჩევა, სიების შედგენა, სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომებზე განხილვა-დამტკიცება და განათლების სამინისტროში წარმოდგენა.

აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებიდან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებიდან წარმოდგენილი მასალების საფუძველზე შედგენილ იქნა რესპუბლიკის ყველა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა გაღრმავებულ შრომით სწავლებაზე გადაყვანის ერთიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმა. ამ გეგმის შესაბამისად 1980—1981 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის ყველა 1696 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის IX—X კლასების 135381 მოსწავლე გადის გაღრმავებულ შრომით სწავლებას. მათ შორის: საბაზო საწარმოების დახმარებით სკოლაში შექმნილ საკუთარ ბაზაზე გაღრმავებულ შრომით სწავლებას გადის 1284 სკოლის 96795 მოსწავლე, მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის 19 სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატში — 134 საშუალო სკოლის 11. 967 მოსწავლე, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში (ორგანიზაციებში) — 278 სკოლის 26.619 მოსწავლე.

რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX—X კლასების 135381 მოსწავლიდან სახალხო მეურნეობის სამრეწველო დარგის პროფილებში გაღრმავებულ შრომით სწავლებას გადის 31.252 მოსწავლე, სასოფლო-სამეურნეო დარგის 59066, სატყეო მეურნეობის — 81, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის — 31911, სამშენებლო — 46, სხვადასხვა დარგის პროფილებში — 9459, მანქანაზე წერისა და თანამედროვე საქმისწარმოების პროფესიაში — 3566 მოსწავლე.

აღნიშნული სკოლებიდან ზემდგომი ორგანოების დადგენილებების საფუძველზე მიმდინარე, 1980—1981, სასწავლო წლიდან ავტოსაქმე სკოლის ბაზაზე ისწავლება 220 სკოლაში და IX—X კლასების 28093 მოსწავლე „ვ“, „ც“ და „3-ც“ კატეგორიის მძღოლის პროფესიებს ეუფლება, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკის საფუძვლების ან მეცხოველეობის საფუძვლების, მეცხოველეობის ფერნების მექანიზაციისა კი — 650 სკოლაში, რომლებშიც ტრაქტორისტ-მემანქანის პროფესიას IX—X კლასების 46531 მოსწავლე ეუფლება, 1891 მოსწავლე გოგონასათვის მანქანაზე წერისა და თანამედროვე საქმისწარმოების საფუძვლების სწავლება კი 10 სკოლაშია შემოღებული.

ამ სკოლების IX—X კლასებში ავტოსაქმის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და აგროტექნიკის საფუძვლების სწავლებისათვის შექმნილია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ავტომობილის თეორიული სწავლების კაბინეტი მოწყობილია 220, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა—650, მანქანაზე წერისა—10 სკოლაში. ცენტრალიზებული წესით აღნიშნულ სკოლებს შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამისად გადაეცათ სასწავლო ავტომანქანები და ტრაქტორები, ავ-ტომობილის, ტრაქტორის სასწავლო კაბინეტების სრული კომპლექ-ტები და საბეჭდი მანქანები.

შემოწმებული რაიონების (ქალაქების) საშუალო ზოგადსაგან-მანათლებლო სკოლების IX—X კლასებში გაღრმავებული შრომითი სწავლებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად მნი-შვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული და კარგადაა მოწყობილი ავტო-საქმის სწავლების სასწავლო ბაზა ქ. ბათუმის მე-2 (დირექტორი გ. ნაკაშიძე), მე-20 (დირექტორი ა. ჯაყელი); ქ. რუსთავის მე-11 (დირექტორი ჯ. მგალობლიშვილი); ახალციხის რაიონის ზიკილიის (დირექტორი კ. ბუაძე), ახალციხის მე-3 (დირექტორი ვ. კარკაშია-ნი); ადიგენის რაიონის უდის (დირექტორი პ. გზირიშვილი), არლის (დირექტორი ლ. აფრიამაშვილი); ბოლნისის რაიონის ბოლნისის 1-ლი (დირექტორი გ. ელიაური); ზესტაფონის რაიონის ზესტაფო-ნის მე-3 (დირექტორი უ. გიორგაძე); ქობულეთის რაიონის ციხის-ძირის (დირექტორი გ. ჩხაიძე); საგარეჯოს რაიონის მანავის მე-2 (დი-რექტორი ა. ტუღუში), სამტრედიის რაიონის სამტრედიის მე-3 (დი-რექტორი თ. მიქაძე), ნოლის (დირექტორი ვ. კუტალაძე); საჩხერის რაიონის არგვეთის (დირექტორი ჯ. ქავთარაძე), ჭალის (დირექტორი შ. აბაშიძე); წალენჯიხის რაიონის ჯგალის (დირექტორი ლ. კვარა-ცხელია), ჯვარის 1-ლი (დირექტორი თ. ქანთარია); ჩოხატაურის რაი-ონის განახლების (დირექტორი ვ. დოლიძე), ტრქტორისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა — ჭიათურის ზონის ნიგოზეთის (დირექტორი ა. ლაბაძე); ახალციხის რაიონის აწყურის (დირექტო-რით თ. სუმბაძე); წყალტბილის (დირექტორი ვ. აკოფიანი); ადიგენის რაიონის ვარხანის (დირექტორი გ. ლიპარიშვილი); ბოლაჯურის (დირექტორი ლ. ხაჩიევა); ბოლნისის რაიონის ქვემო ბოლნისის სომ-ხური (დირექტორი ზ. ხუბლარიანი), რატევნის (დირექტორი გ. გრძელიშვილი); გურჯაანის რაიონის ბაკურციხის (დირექტორი ზ. მთიულიშვილი); ზესტაფონის რაიონის არგვეთის (დირექტორი გ. თაბუკაშვილი), დილიკაურის (დირექტორი ბ. შალამბერიძე); ლან-ჩხუთის რაიონის აცანის (დირექტორი შ. ქინქლაძე); საგარეჯოს რაი-ონის პატარძეულის (დირექტორი მ. სოზიაშვილი), პატარა ჩაილურის (დირექტორი ვ. ფხალაძე), სამტრედიის რაიონის ნაბაკევის (დირექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორი უ. ფრანგიშვილი); საჩხერის რაიონის მერჯევის (დირექტორი მ. ენუქიძე), კორბოულის მე-2 (დირექტორი ს. კაპანაძე), სიღნაღის რაიონის ბოდბის (დირექტორი ვ. ხუციშვილი), მაღაროს (დირექტორი გ. მირაშვილი), წალენჯიხის რაიონის ლიის (დირექტორი ტ. ჯანჯღავა) და რესპუბლიკის ზოგიერთი სხვა რაიონის (ქალაქის) სკოლებში.

რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX—X კლასებში გაღრმავებული შრომითი სწავლების გაუმჯობესების საქმეს დიდად შეუწყო ხელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 ოქტომბრის № 570 დადგენილებამ „მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ორგანიზაციის შესახებ“.

ამ დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიონული კომიტეტის ინიციატივით, სახალხო განათლების განყოფილებებზე და სკოლებზე მისი ქმედითი დახმარებით მუშაობა დაიწყო თერჯოლის მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატმა. თერჯოლის პარტიის რაიონული კომიტეტის დადებითი გამოცდილება მოწონებულ იქნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით და რეკომენდაცია მიეცა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების შექმნის შესახებ. აღნიშნული დადგენილებისა და სხვა ღონისძიებათა შედეგად 1980—1981 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკაში სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების რიცხვი 19-მდე გაიზარდა, რომელთა საბაზო საწარმოების მიერ მოწყობილ სასწავლო-საწარმოო საამქროებში სხვადასხვა პროფილებს ეცნობა 134 საშუალო სკოლის 11967 მოსწავლე.

მუშაობის ერთგვარი დადებითი გამოცდილებით გამოირჩევა ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის (დირექტორი ტ. კარაპეტიანი), პირველი მაისის სახელობის რაიონის (დირექტორი ა. ღამბაშიძე) მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკონომიკური განვითარების 1981 წლის გეგმის შესაბამისად 1981—1982 სასწავლო წლისათვის მუშაობას დაიწყებს თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის, რუსთავის, ტყვარჩელისა და ფოთის მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები.

სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით, გარკვეული მუშაობა გასწიეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის საბაზო საწარმოების შერჩევის, მძლავრ ქარხნებსა და ფაბრიკებში სასწავლო-საწარმოო საამქროების, საამქროებში უბნების მოწყობის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო ნაკვეთების გამოყოფის, მათში საწარმოო პროცესების ორგანიზებულად, მაღალი შრომის ნაყოფიერებით წარმართვისა და სწავლების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

თბილისის კიროვის სახელობის 65-ე, 67-ე, 68-ე, 73-ე, 74-ე, 127-ე, 144-ე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX—X კლასების მოსწავლეებისათვის კამოს სახელობის საჩამომსხმელო მექანიკურ ქარხანაში, წინდების საწარმოო გაერთიანება „კრწანისში“, საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა „კომკავშირელში“, შესაფერისი პროფილებით, შექმნილია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი თეორიული სწავლების კაბინეტები და სასწავლო-საწარმოო საამქროები, რომლებშიც მოსწავლეები წარმატებით ეცნობიან ქარხნის ტექნოლოგიურ პროცესებს და წამყვან მუშურ პროფესიებს.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში 24-ე, 30-ე, 34-ე და სატრაქტორო ქარხანაში მე-5, მე-10, მე-17, მე-18, 33-ე საშუალო სკოლებისათვის მოწყობილია სასწავლო-საწარმოო საამქროები, რომლებშიც IX—X კლასების მოსწავლე ვაჟები ეცნობიან ლითონების დამუშავების პროფილს. კეთილმოწყობილი სასწავლო-საწარმოო საამქროა შექმნილი, აგრეთვე, სამკერვალო გაერთიანება „გელათში“, მაუდის ფაბრიკაში, კიროვის სახელობის 1-ლ სამკერვალო გაერთიანებაში და აბრეშუმის სამკერვალო კომბინატში. ანალოგიური მდგომარეობაა ქ. ქ. ბათუმში, რუსთავში, ჭიათურაში, ფოთსა და სხვა ქალაქებში.

გაღრმავებული შრომითი სწავლებისათვის საჭირო სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განმტკიცების საქმეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემოწმებული რაიონების (ქალაქების) რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ერთგვარ დახმარებას უწევენ საბაზო საწარმოები (ორგანიზაციები). ლანჩხუთის ავტოსატრანსპორტო კანტორამ ლანჩხუთის 1-ლ საშუალო სკოლას სასწავლო მიზნით გადასცა ამორტიზებული „გაზ-24“ ტიპის მსუბუქი ავტომანქანა, ამავე რაიონის მამათის კოლმეურნეობამ მამათის საშუალო სკოლას შეუძინა 4000 მანეთის ღირებულების ახალი ტრაქტორი, აცანის კოლმეურნეობა აცანის საშუალო სკოლას უშენებს ორი სასწავლო ტრაქტორის სადგომს ტექნიკური მომსახურების პუნქტით; სიღნაღის რაიონის მაღაროს კოლმეურნობამ მაღაროს საშუალო სკოლას სასწავლო მიზნით გადასცა „ტ-25“ ტიპის ტრაქტორი და დაეხმარა ტრაქტორის თეორიული სწავლების კაბინეტის მოწყობაში.

სათანადო მუშაობა ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გაღრმავებული შრომითი სწავლების მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის, მათი მომზადების, გადამზადებისა და პედაგოგიური დახელოვნების გაუმჯობესებისათვის.

1980 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გაღრმავებულ შრომით სწავლებას ასწავლის 1614 მასწავლებელი, მათ შორის უმაღლესი განათლებითაა 991, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით — 150, საშუალო სპეციალური განათლებით — 400 და საშუალო ზოგადი განათლებით — 73 მასწავლებელი. ამ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პედაგოგიური დაოსტატების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა ცენტრალურ, აფხაზეთის, აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქუთაისისა და თელავის დახელოვნების ინსტიტუტებში ყოველწლიურად ეწყობა ავტოსაქმის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ტრაქტორის ტარების საწარმოო სწავლების ოსტატთა და იმ მასწავლებელთა გადამზადება, რომლებიც წარმოებიდან სკოლაში გადმოვიდნენ სამუშაოდ.

განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ხაზით 1980 წელს კვალიფიკაცია აიმაღლა ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების 178-მა, ავტოსაქმის — 87-მა მასწავლებელმა და ავტომობილის, ტრაქტორის ტარების საწარმოო სწავლების 55-მა ოსტატმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმებული სკოლების გაღრმავებული შრომითი სწავლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი გულდასმით ემზადება ყოველდღიურ მუშაობისათვის, სისტემატურად ზრუნავს თეორიული სწავლების სასწავლო კაბინეტების, პრაქტიკული სწავლების სახელოსნოების შევსებაზე, სწავლებაში იყენებს თვალსაჩინოებას, სწავლებას უკავშირებს მოსწავლეთა ნაყოფიერ შრომასა და პრაქტიკულ საქმიანობას. კარგად მუშაობენ მასწავლებლები: ავტოსაქმისა: ტ. ჭონქაძე (დუშეთის რაიონის ჟინვალის საშუალო სკოლა), გ. კვარაცხელია, ა. სობოლევი (წალენჯიხის რაიონის ჯგალისა და ჯვარის 1-ლი საშუალო სკოლები), ნ. ვაჩაძე (რუსთავის მე-11 საშუალო სკოლა), მ. დოლიძე (ჩოხატაურის რაიონის განახლების საშუალო სკოლა), პ. ყაველაშვილი (ბოლნისის 1-ლი საშუალო სკოლა), ნ. ბანძელაძე (ბათუმის მე-2 საშუალო სკოლა), ნ. გომონი (ბათუმის მე-20 საშუალო სკოლა), თ. კრიხელი (ქობულეთის რაიონის ციხისძირის საშუალო სკოლა), ს. მამულაშვილი, ს. ჩილაშვილი (ადიგენის რაიონის უდის 1-ლი საშუალო და არლის საშუალო სკოლები), ნ. ქურქჩიანი (ახალციხის რაიონის ზიკილიის საშუალო სკოლა), ს. აგიკიანი (ახალციხის რაიონის მე-3 საშუალო სკოლა).

ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების: გ. ქურთიაშვილი (გურჯაანის რაიონის ბაკურციხის საშუალო სკოლა), ა. კეთელიძე (ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის საშუალო სკოლა), გ. მაზიაშვილი, შ. ნატროშვილი (სიღნაღის რაიონის ნუკრიანის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლები), კ. სამხარაძე (ჭიათურის ზონის ნიგოზეთის საშუალო სკოლა), ა. ბერიშვილი (წალენჯიხის რაიონის ლიის საშუალო სკოლა), კ. მინასიანი, ვ. მიქელაძე (ბოლნისის რაიონის ქვემო ბოლნისისა და რატევნის საშუალო სკოლები), გ. ღაღანიძე, ა. ქადაგიშვილი (სიღნაღის რაიონის ბოდბისხევისა და მაღაროს საშუალო სკოლები), ი. გოგიაშვილი, დ. ეჯიბაძე (ზესტაფონის რაიონის არგვეთისა და დილიკაურის საშუალო სკოლები), ვ. ზეიკიძე (დუშეთის რაიონის ჭოპორტის საშუალო სკოლა), ტ. ზედგენიძე, ლ. კაციტაძე (ადიგენის რაიონის ვარხანისა და ბოლაჯურის საშუალო სკოლები), გ. ხვედელიძე, ვ. დარბინიანი (ახალციხის რაიონის აწყურისა და წყალთბილის საშუალო სკოლები); მანქანაზე წერისა და თანამედროვე საქმისწარმოების — რ. ბერიაშვილი (რუსთავის მე-16 საშუალო სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად შემოწმებული რაიონების (ქალაქების) ბევრ სკოლაში გაღრმავებული შრომითი სწავლებისათვის ჯერჯერობით შექმნილი არ არის მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სახალხო განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელების მიერ ამ დარგში ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს იმ გაზრდილ მოთხოვნებსა და ამოცანებს, რომლებიც სადღეისოდ არის დაყენებული სკოლის წინაშე.

შემოწმებამ ნათელყო, რომ რესპუბლიკის რიგ საშუალო სკოლებში, რომლებშიც საკუთარ ბაზაზე გაღრმავებულ შრომით სწავლებაში შემოღებულია ავტოსაქმის, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკის საფუძვლების, მანქანაზე წერისა და თანამედროვე საქმისწარმოების საფუძვლების სწავლება, სათანადოდ არაა მოწყობილი თეორიული სწავლების სასწავლო კაბინეტები, ხანგრძლივი დროის მანძილზე ექსპლოატაციის შედეგად მწყობრიდანაა გამოსული ავტომანქანები, ტრაქტორები, ბევრ სკოლაში სრულიად არაა სამონტაჟო-საზეინკლო სახელოსნოები, სასწავლო ავტომანქანების, ტრაქტორების სადგომი გარაჟები ტექნიკური მომსახურების პუნქტით ,ავტომობილის, ტრაქტორის ტარების მოედნები და დღემდე არაა შემუშავებული სასწავლო ტრაქტორების სადგომი გარაჟის ტიპობრივი პროექტი.

ამ მხრივ არასასურველი მდგომარეობაა ჭიათურის ზონის მანდაეთის (დირექტორი ე. მუმლაძე), ვაჭევის (დირექტორი ჯ. გურიელი), ქვაციხის (დირექტორი ვ. ბიწაძე), ზოდის (დირექტორი პ. გაბრიჭიძე); ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭიმის 1-ლ (დირექტორი ა. შენგელია), ადიგენის რაიონის უდის მე-2 (დირექტორი ჩ. ყულიჯანაშვილი), მოხის (დირექტორი ნ. ნარიმანაშვილი), თერჯოლის რაიონის სიქთარვის (დირექტორი თ. კახიძე), ზედა საზანოს (დირექტორი გ .კუპატაძე), ახალციხის რაიონის წყურთის (დირექტორი გ. ეროიანი), სვირის (დირექტორი დ .დონაძე), მუსხის (დირექტორი ე. ქურდაძე); ბოლნისის რაიონის ძველი ქვეშის (დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ი. მამედოვი), აბდალის (დირექტორი მ. ნაბიევი), ლანჩხუთის რაიონის ჯურყვეთის (დირექტორი ა. ანთაძე); სამტრედიის რაიონის კორმაღლის (დირექტორი გ. გიორგაძე) და სხვა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. გარდა ამისა, დასახელებულ სკოლებში ტრაქტორებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსაქმის გაღრმავებული შრომითი სწავლებისათვის ჯერ კიდევ არაა შექმნილი საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ჩოხატაურის რაიონის ბუკისციხის, ხევის, ქვაბლისა და ზოტის საშუალო სკოლებმა კი, რომლებშიც შემოღებულია სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება, ვერ შეძლეს განაწილებით გამოყოფილი ტრაქტორის შეძენა ბიუჯეტით სათანადო თანხების უქონლობის გამო. საერთოდ, რესპუბლიკის 101 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, რომლებშიც სხვადასხვა სასწავლო წელს შემოღებულია სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება, არ აქვს ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. აგრეთვე, 1980—1981 სასწავლო წელს ავტოსაქმის სწავლება შემოღებულ იქნა ორმოც საშუალო სკოლაში, რომელთაგან მათზე განაწილებული ახალი სატვირთო ავტომანქანა არ მიუღია 6 სკოლას. საერთოდ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აგვისტოს (1978 წ.) დადგენილებით, 1980 წელს რესპუბლიკაზე სასწავლო მიზნით გამოყოფილი 70 ცალი „გაზ—52-ა“ ტიპის სატვირთო მანქანიდან სკოლების სამმართველოს განაწილებით ავტომანქანები მიიღო 48 იმ სკოლამ, რომლებშიც ზემდგომი ორგანოების დადგენილებით შემოღებულია ავტომძღოლების მომზადება.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების და საშუალო სკოლების ხელმძღვანელებმა კარგად ვერ იმუშავეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ადგილობრივი პირობების შესაბამისად საბაზო საწარმოების სწორად შერჩევის, სასწავლო-საწარმოო საამქროების მოწყობის, საამქროებში უბნების გამოყოფის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო მიწის ნაკვეთების IX—X კლასების მოსწავლეებზე გაპიროვნებისა და საწარმოო პროცესების ორგანიზაციისათვის.

ზესტაფონის ფეროშენადნობის, კაბელის, შორაპნის ელემენტების ქარხანაში, სამკერვალო ფაბრიკაში, სამტრედიის ბამბის სართავ ფაბრიკასა და ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში მოუწყობელია თეორიული სწავლების სასწავლო კაბინეტები, პრაქტიკული მუშაობისა და მწარმოებლური შრომისათვის სასწავლო საამქროები; ჩხოროწყუს საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოს სახელოსნოებში, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ქსოვილების დამუშავების საამქროში ჩხოროწყუს 1-ლ და მე-2 საშუალო სკოლე-

ბის IX—X კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის მიხედვით. ამ-
წყობილი არაა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები; რუსთავის №-
17 საშუალო სკოლისათვის შერჩეული არაა საბაზო საწარმო (ორგა-
ნიზაცია), IX—X კლასების მოსწავლეები საკუთარ ბაზაზე სწავლო-
ბენ მანქანათსამშენებლო ხაზვასა და ქსოვილების დამუშავებას,
რაც დაკავშირებული არაა მოსწავლეთა მწარმოებლურ შრომასთან.

ამ მხრივ ჯერ კიდევ სუსტია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებ-
ში ადგილობრივი წარმოება-დაწესებულებების მიერ გაწეული დახ-
მარება. ამ მიმართებით ფაქტიურად არ სრულდება ზემდგომი ორ-
განოების დადგენილებები. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის გა-
რემოება, რომ დღემდე ცოტა რამაა გაკეთებული საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 9 ნოემბრის № 672 დადგენილების
„მოსწავლეთა შრომითი სწავლების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგან-
მანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი
გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ განხორციელების საქმეში.

შემოწმებით დადგინდა, რომ ბოლო წლებში რესპუბლიკაში
ნელი ტემპით ფართოვდება მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და
პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარ-
მოო კომბინატების ქსელი. ეკონომიკური განვითარების გეგმით გა-
თვალისწინებული სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინა-
ტის გახსნა ვერ შეძლეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის,
ქ. ქ. რუსთავის, გორისა და ტყვარჩელის სახალხო განათლების
განყოფილებებმა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974
წლის 26 ოქტომბრის № 570 დადგენილების „მოსწავლეთა შრომითი
სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო
სასწავლო-საწარმოო კომბინატების ორგანიზაციის შესახებ“ მიღე-
ბიდან საკმაო დრო გავიდა, მაგრამ დღემდე მაინც ვერ მოხერხდა
სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატის ტიპობრივი
პროექტის შექმნა, რაც დიდად აფერხებს ასეთი ტიპის სასწავლო და-
წესებულებების გახსნას.

რესპუბლიკის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბი-
ნატები მოთავსებულია შეგუებულ შენობებში, რომელთაგან თერ-
ჯოლის რაიონის ჭოგნარის (დირექტორი ბ. ლევიძე), ჩოხატაურის
(დირექტორი ი. ცხოიძე), სიღნაღის რაიონის წნორის (დირექტორი

რ. გვარამაძე), ბათუმის (დირექტორი ა. კობელაშვილი), ქობულეთის რაიონის ჩაქვის (დირექტორი ვ. ყურშუბაძე), გურჯაანის (დირექტორი უ. ბაზერაშვილი), გარდაბნის (დირექტორი ა. მირზოევი) და სხვა მოთავსებულია შეუფერებელ, მეტად მცირე ფართობისა და უვარგის სათავსოებში, რომლებიც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. სიღნაღის რაიონის წნორის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატისათვის გამოყოფილი მცირე ფართობის შენობის თითქმის ნახევარში მოთავსებულია სასოფლო კლუბი, კინოდარბაზი, ქობულეთის რაიონის ჩაქვის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატში ფართობის სიმცირის გამო მოუწყობელია სადურგლო სასწავლო-საწარმოო საამქრო, ბათუმის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატში — თეორიული სწავლების სასწავლო კაბინეტები, გურჯაანის კომბინატში კი — მოსწავლეთა პრაქტიკული სწავლების სასწავლო-საწარმოო საამქროები. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის გურჯაანის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანებამ, რომლის ბაზაზედაც (მათი საწარმოს ტერიტორიაზე) შექმნილია კომბინატი, მიუხედავად მრავალგზის თხოვნისა, არ მოაწყო ცალკე სასოფლო-საწარმოო საამქროები და არც წარმოების საამქროებში გამოყო სასწავლო უბნები, სადაც IX—X კლასების მოსწავლეები გაეცნობოდნენ ტრაქტორის შემკეთებელი ზეინკლისა და ელექტროძრავების გრაგნილების დამხვევის პროფილებს.

შემოწმებით დადგინდა, რომ ამჟამად მოქმედი მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და **პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო** სასწავლო-საწარმოო კომბინატების ერთი ნაწილი აღჭურვილია მოძველებული დაზგებით, ჩარხებით, მანქანებით, ხელსაწყოიარაღებით, საზომი მოწყობილობით; კომბინატში შეფი ორგანიზაციების მიერ გახსნილი საამქროები გათვალისწინებული არაა ამ **საბაზო საწარმოთა (ორგანიზაციათა)** სამეურნეო გეგმებში, რიტმულად არ მარაგდებიან სამუშაო მასალებით (ნედლეულით) მოსწავლეთა ნაყოფიერი შრომის ორგანიზაციისათვის, რის შედეგადაც ხშირად მოსწავლეები დაუსაქმებელი არიან. სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში ყოველთვის როდი ხდება მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქციის ზუსტი აღრიცხვა და რეალიზაცია, ზოგჯერ ადგილი აქვს უხარისხო ნაწარმის გამოშვებას, რაც უარყო-

ფით გავლენას ახდენს საწარმოთა მიერ შექმნილი საამქროების რენ-
ტაბელობაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბალია აღმზრდელობითი მუშაობის დონე სასკოლათაშორისო
სასწავლო-საწარმოო კომბინატებში. არ არის შექმნილი მოსწავლეთა
საწარმოო ბრიგადები, გაშლილი არ არის მათ შორის სოციალისტუ-
რი შეჯიბრება ან არ ხდება შეჯიბრების შედეგების თვალსაჩინო
ასახვა, საერთოდ სუსტად არის დაყენებული მოსწავლეთა თვითმმარ-
თველობა.

სასწავლო სახელოსნოების, კაბინეტების, საამქროებისა და მოს-
წავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სას-
კოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების სახელოსნოე-
ბისა და სასწავლო-საწარმოო საამქროების მიღება არ ხდება ახალი
სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მზადყოფ-
ნის მდგომარეობის შემმოწმებელი კომისიების მიერ.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული
მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის
სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ტიპობრივი
დებულების საწინააღმდეგოდ თერჯოლის, თერჯოლის რაიონის ჭოგ-
ნარის, ჩოხატაურისა და თბილისის პირველი მაისის რაიონების სას-
კოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში გაღრმავებული
შრომითი სწავლებისათვის საჭირო საკუთარი ტექნიკით გაერთიანე-
ბულია ისეთი სკოლები, რომ ებშიც ზემდგომი ორგანოების დად-
გენილებებით შემოღებულია ავტოსაქმე (ჩხარის, ღვანკითის და ჩო-
ხატაურის 1-ლი საშუალო სკოლები), სოფლის მეურნეობის მექანი-
ზატორთა კადრების მომზადება (ახალი თერჯოლის, რუფოთის და
ზედა სიმონეთის საშუალო სკოლები), მანქანაზე წერა, თანამედრო-
ვე საქმისწარმოება (თბილისის მე-100 საშუალო სკოლა). უფრო მე-
ტიც, ეს კომბინატები რიგ შემთხვევაში თვალსაჩინო მასალებით
მარაგდებიან განათლების სამინისტროს მიერ.

სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატის დებულე-
ბის არსებითი ხასიათის დარღვევებს აქვს ადგილი ტიპობრივი საშ-
ტატო ერთეულების ზევით მუშაკთა აყვანის, მოსწავლეთა პრაქტი-
კული საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის ოსტატ მას-
წავლებელთა ხელფასით ანაზღაურების საქმეშიც. რესპუბლიკის თი-
თქმის ყველა მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული

ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატში, გარდა თბილისისა, საბაზო საწარმოთა მიერ მოწყობილ სასწავლო-საწარმოო საამქროებში საწარმოო სწავლების ოსტატ მასწავლებელთა ხელფასით ანაზღაურება ხდება სახალხო განათლების ორგანოების საბიუჯეტო ასიგნობათა სახსრებიდან.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული არაა გაღრმავებული შრომითი სწავლების პროფილების პერსპექტიული განვითარების საკითხები, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მასობრივ მუშათა კადრებზე მოთხოვნების გათვალისწინებით. ხშირად ადგილობრივი სახალხო დეპუტატების საბჭოების მიერ დამტკიცებული პროფილები არ შეესაბამება რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო მეურნეობის კადრებზე მოთხოვნებს.

განათლების სამინისტროსთან არსებული საუწყებათაშორისო მეთოდური საბჭო ჯერ კიდევ ვერ გახდა საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის საკოორდინაციო ცენტრი მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საქმეში, სუსტად მუშაობენ რაიონების (ქალაქების) სახალხო განათლების განყოფილებები და პროფორიენტაციის საბჭოები.

რესპუბლიკაში სუსტად არის გაშლილი მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედება. არ არის შექმნილი მოსწავლეთა სამეცნიერო საზოგადოებები (მსს), რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბიუროები.

შემუშავებული არაა სათანადო წესი და არაერთგვაროვნად ხდება მოსწავლეთა მწარმოებლური (ნაყოფიერი) შრომის პროცესში ვარგისი პროდუქციის დამზადებაზე დახარჯული ენერგიის ანაზღაურება.

შემოწმებით დადგინდა, რომ ზოგიერთი ის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელშიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის მიერ 1974 წლის 24 თებერვალს დამტკიცებული ინსტრუქციის „მძღოლის მოწმობის გაცემის წესის შესახებ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის იმ კურსდამთავრებულებზე, რომლებმაც შეისწავლეს ავტოსაქმე“ შესაბამისად შემოღებულია ავტოსაქმის სწავლება, შეუთანხმებელია ავტოინსპექციასთან, რეგისტრაციაში არაა გატარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული სასწავლო ჯგუფები, რის გამოც საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის საარაინთამორისო სარეგისტრაციო საგამოცდო ქვეგანყოფილებები კურსდამთავრებული მოსწავლეებისაგან არ იბარებენ გამოცდებს. ასევე არ სრულდება ინსტრუქცია მოწმობის გაცემის შესახებ სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ კურსდამთავრებულებზე, რომლებმაც შეისწავლეს ტრაქტორის, კომბაინის, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტარება და აგრეთვე აგროტექნიკის საფუძვლები და მეცხოველეობა. ყოველივე ამის შედეგად საშუალო სკოლების კურსდამთავარებულ მოსწავლეთა ძალიან უმნიშვნელო ნაწილი ღებულობს ავტომობილისა და ტრაქტორის მართვის მოწმობას.

შემოწმებამ, აგრეთვე, ნათელყო, რომ არ ტარდება იმ საშუალო სკოლების მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმება, რომლებშიც შემოღებულია ავტოსაქმის სწავლება, სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება, საერთოდ გაღრმავებული შრომითი სწავლება.

შემოწმებამ ნათელჰყო ისიც, რომ რიგ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX—X კლასებში შრომით სწავლებას ხელმძღვანელობენ (ასწავლიან) არასპეციალისტები, რომელთა ტექნიკური განათლება მეტად დაბალია. ისინი სუსტად ემზადებიან ყოველდღიური მუშაობისათვის, არ იყენებენ საჭირო მეთოდურ ლიტერატურას, დაბალ აკადემიურ დონეზე ატარებენ თეორიულ მეცდინეობას და სუსტად ხელმძღვანელობენ მოსწავლეთა პრაქტიკულ მუშაობას.

ბოლნისის რაიონის სოფელ დარბაზის საშუალო სკოლაში ტრაქტორების, სასოფლო სამეურნეო მანქანების თეორიას ასწავლიან მეკამე კლასის ტრაქტორისტები ე. ალახვერდოვი (დამთავრებული აქვს ორწლიანი პედაგოგიური ინსტიტუტი), და ი. ალაზოვი (დამთავრებული აქვს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი). ამავე სკოლაში ტრაქტორის ტარების საწარმოო სწავლების ოსტატებად მუშაობენ მესამე კლასის ტრაქტორისტები ნ. ნაბიევი და ი. ალიევი, სოფელ ძველქვეშის საშუალო სკოლაში ტრაქტორის თეორიას ასწავლიან მესამე კლასის ტრაქტორისტები შ. ბაირამოვი (დამთავრებული აქვს პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულ-

ტეტი), ა. გურბანოვი (უმაღლესდაუმთავრებელი, ფილოლოგი), ა. ... რიევი (საშუალო განათლებით), აკურთის საშუალო სკოლაში — კ. მამედოვი (დამთავრებული აქვს პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტი), იმირასანის საშუალო სკოლაში ტრაქტორის ტარების საწარმოო სწავლების ოსტატად მუშაობს მესამე კლასის ტრაქტორისტი კ. კახრამანოვი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შრომითი სწავლების აია-სპეციალისტ და დაბალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელთა შემადგენლობის სათანადო მომზადებისა და ტექნიკური განათლების მქონე კადრებით შეცვლის საქმეს დიდად შეუწყო ხელი შრომითი სწავლების მასწავლებელთა ატესტაციამ. 1975—1979 წლებში ჩატარებული ატესტაციის შედეგად რესპუბლიკის 2650 მასწავლებლიდან ატესტაცია უნდა გაევლო 2560-ს, გაიარა 1979-მა, მათ შორის შეეფერება დაკავებულ თანამდებობას 1969, მიეცა წახალისება 268-ს, მიეცა რეკომენდაცია 451-ს, არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას 10, დაწერა განცხადება განთავისუფლებაზე 219-მა მასწავლებელმა.

საშუალო ზოგადსგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის მაღალ დონეზე დაყენების საქმეს მნიშვნელოვანწილად ხელს უშლის ქართულ ენაზე შრომითი სწავლების სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკური ლიტერატურის უქონლობა, განათლების ხელმძღვანელი ორგანოების, ქვემდებარე სამეცნიერო-კვლევითი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების, მეთოდური კაბინეტების მიერ დღემდე ჩატარებული მუშაობა სათანადოდ ვერ აკმაყოფილებს იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რომლებსაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გაღრმავებული შრომითი სწავლების მასწავლებლები აყენებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ვერ მოხერხდა IX—X კლასების მოსწავლეთათვის რუსულიდან ქართულ ენაზე ავტოსაქმისა და ტრაქტორის სახელმძღვანელოების თარგმნა.

შემოწმებული რაიონების (ქალაქების) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არაა დაყენებული შრომის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებების მუშაობა, უმრავლეს შემთხვევაში იგი ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის საშუალო სკოლებში გაღრმავებულ შრომით სწავლებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები იმითაცაა გამოწვეული, რომ საშუალო სკოლების ერთ ნაწილში სუსტადაა დაყენებული შინასასკოლო კონტროლი, ხელმძღვანელობა და დახმარება გაღრმავებული შრომითი სწავლების მასწავლებლებზე. იშვიათად წარმოებს მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და გავრცელება. სკოლების დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში იშვიათად ესწრებიან გაღრმავებული შრომითი სწავლების მასწავლებელთა გაკვეთილებს, სათანადოდ არ აანალიზებენ მოსმენილს და საჭირო მეთოდურ რჩევა-დარიგებებს არ აძლევენ ამ საგნის მასწავლებლებს.

სკოლების სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1981 წლის 18 თებერვლის ბრძანება № 109

სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 25 ნოემბრის დადგენილების სარეალიზაციო ღონისძიებათა შესახებ

ვაქვეყნებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 25 ნოემბრის დადგენილებას „საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“:

„საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სახელმწიფო ორგანოები, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები წარმტებით ასრულებენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით დასახულ სკოლამდელი საზოგადოებრივი აღზრდის განვითარების პროგრამას, ყოველწლიურად მუშაობენ ბავშვთა ფიზიკური, ინტელექტუალური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდისათვის ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად.

როგორც საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა რესპუბლიკურმა დათვალიერებამ ცხადყო, წლითიწლობით ფართოვდება სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი ,უმჯობესდება მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროდუქტებით მომარაგება, სამედიცინო მომსახურება, იზრდება აღმზრდელობითი მუშაობის დონე. 1979 წელს საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა რიცხვი 1971 წელთან შედარებით 418 ერთეულით გადიდდა. შესამჩნევად გაიზარდა 7 წლამდე ასაკის ბავშვთა უზრუნველყოფა საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებით. 1979 წელს, პირველად მრავალი წლის მანძილზე, შესრულდა სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა.

ამასთანავე, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ჯერ კიდევ არასაკმარისად მივიჩნიეთ ნიათ პარტიული და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების მუშაობა ბავშვთა სკოლამდელ აღზრდასთან უშუალოდ დაკავშირებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის, მოზარდი თაობის აღზრდის სრულყოფის შესახებ ფუძემდებელი პარტიული და სახელმწიფო დოკუმენტების ყველა მოთხოვნის შესრულებისათვის. სკოლამდელი აღზრდით უზრუნველყოფილ ბავშვთა რიცხვი მთლიანად რესპუბლიკაში მათი საერთო რაოდენობის 26,6 პროცენტს შეადგენს, მაშინ როცა საერთო-საკავშირო მაჩვენებელი 43 პროცენტია; დაწესებულებათა 38 პროცენტი ჯერ კიდევ მოთავსებულია არატიპობრივ შეუფერებელ, სახელდახელოდ მოწყობილ და ამ მიზნისათვის გამოუსადეგარ სადგომებში.

საბავშვო ბაღები გადატვირთულია. საშუალოდ რესპუბლიკაში ყოველ 100 ადგილზე მოდის 104 ბავშვი, ხოლო ზოგიერთ ქალაქში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია: ქალაქ რუსთავში — 128, ქალაქ თბილისში — 125, ქალაქ სოხუმში—122. 1979 წელს ბავშვთა რაოდენობა საქალაქო სკოლამდელ დაწესებულებებში შესაბამისი ადგილების რაოდენობას 13,9 ათასით აღემატებოდა. საგრძნობია მწვავე მოთხოვნილება სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებათა და მთელი დღე-ღამის განმავლობაში მოქმედ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებაზე.

1980 წლის ათ თვეში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე სულ საექსპლუატაციოდ გადაეცა 1.775 ადგილიანი საბავშვო ბაღები, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6190 ადგილისა.

ჯერ კიდევ ნაკლოვანებებია ბავშვთა სამედიცინო და სანიტარულ-ჰიგიენურ მომსახურებაში. ამის შედეგად ავადობის დონე რამდენადმე გაიზარდა. 1979 წელს მთლიანად რესპუბლიკაში თითოეული ბავშვი წლის განმავლობაში საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებაში საშუალოდ აცდენდა 30 დღეს (კავშირის მასშტაბით — 17 დღე).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. რესპუბლიკაში საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ფინანსურ-ეკონომიკური თვალიერების ჩამტარებელი კომისიის მოხსენებითი ბარათი გადაეგზავნოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალქაო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, და დაევალოთ მათ:

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი რესპუბლიკაში სკოლამდელი აღზრდის შემდგომი სრულყოფისათვის მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების შესაბამისად, ქსელის განვითარებისა და კონტინგენტის სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის; უზრუნველყონ, რომ უცილობლივ შესრულდეს საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს XI სესიის 1979 წლის 19 ივნისის დადგენილება და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარების შესახებ;

— დაწესონ მკაცრი კონტროლი საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის მიმდინარეობისადმი, ამასთან უზრუნველყონ მისი დროულად და ხარისხიანად დამთავრება; არ დაუშვან დაუმთავრებელი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემა; სრულყონ სამეფო მუშაობის ორგანიზაცია, წარმართონ იგი საბავშვო ბაღებისა და ბაგების მატერიალური ბაზის განუწყვეტლივ გასაუმჯობესებლად, კვების პროდუქტებით, საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობით უზრუნველსაყოფად;

— მკაცრად დაიცვან სკოლამდელ დაწესებულებებში ჯგუფების დაკომპლექტების, ინვენტარითა და მოწყობილობით მათი უზრუნველყოფის, კვების ორგანიზაციის, საექიმო მომსახურების დაწესებული სანიტარიული ნორმები და დღის რეჟიმი.

2. საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობისადმი ხელმძღვანელობის უკეთ კოორდინაციის მიზნით შეიქმნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან საზოგადოებრივ საწყისებზე ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის საუწყებათაშორისო საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დებულება ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის საუწყებათაშორისო საბჭოს შესახებ და მისი შემადგენლობა.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

— უზრუნველყოს რესპუბლიკის საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა აღზრდისა და მომსახურების გადაჭრით გაუმჯობესება; განუწყვეტლივ გააძლიეროს სკოლამდელ დაწესებულებათა კოლექტივების პასუხისმგებლობა საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პროცესის მდგომარეობისადმი, ბავშვთა ფიზიკური, შრომითი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რესპუბლიკის საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მართვის სისტემის სრულყოფას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, და უფრო ქმედითი, მიზანდასახული და კონკრეტული გახადოს მთელი მუშაობის შინაარსი სახალხო განათლების ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე; უფრო ეფექტიანად გამოიყენოს სამინისტროსათვის მინიჭებული უფლებები იმ სამინისტროებთან და უწყებებთან ურთიერთობაში, რომელთაც აქვთ სკოლამდელი დაწესებულებანი;

— მკვეთრად გაუმჯობესოს მეთოდური და პრაქტიკული დახმარება საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკებისადმი, სისტემატურად ჩაატაროს სემინარები და კონსულტაციები, გარდაქმნას რაიონული და საქალაქო მეთოდური კაბინეტებისა და მეთოდურ გაერთიანებათა მუშაობა; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მოწინავე გამოცდილების შესწავლას, განზოგადებასა და პრაქტიკაში დანერგვას, უფრო ფართოდ მიიზიდოს სასწავლო-დიდაქტიკური და მეთოდიკური ლიტერატურის შესაქმნელად წამყვანი მეცნიერები და სპეციალისტები;

— გადასინჯოს და მოამზადოს გამოსაცემად 1981 წელს პროგრამები, ინსტრუქციები, დებულებანი და სხვა ნორმატიული დოკუმენტები სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე;

— შეისწავლოს და სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საქართველოს სსრ გა-

ნათლების სამინისტროსთან არსებული სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური საბჭოს მუშაობის გარდაქმნის შესახებ;

— გადასინჯოს ი. ს. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის სექტორის თემატიკა პედაგოგიკის მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის, სკოლამდელი აღზრდის შინაარსის გაუმჯობესების პრობლემებს, სკოლისათვის ბავშვთა მომზადების საშუალებათა ეფექტიანობის საკითხების კვლევას, სრულყოს თანამედროვე პედაგოგიკის მეცნიერების მიღწევების პრაქტიკაში დანერგვისათვის მუშაობის ფორმები და მეთოდები;

— იმ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, რომელთაც აქვთ საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი გააუმჯობესოს მუშაობა უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა და თბილისის ი. ს. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობისათვის;

— გააუმჯობესოს მუშაობა საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შექმნას კვალიფიკაციის ამაღლების ისეთი სისტემა, რომელიც მთლიანად მოიცავს საუწყებო სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკებს.

4. საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რათა ქალაქ თბილისის საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის მეშვეობით უახლოეს წლებში დადგენილი წესით შემუშავდეს სკოლამდელ დაწესებულებათა ახალი გაუმჯობესებული ტიპობრივი პროექტები რესპუბლიკაში ამ პროექტებით აღნიშნული ობიექტების მშენებლობის მთლიანად უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს ამ მიზნით საჭირო ლიმიტებისა და სახსრების გამოყოფა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განაცხადების მიხედვით.

5. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ გააუმჯობესონ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის ხარისხი, ამასთანავე სასკოლო მშენებლობასთან ერთად სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობა მიიჩნიონ თავიანთ პირველი რიგის ამოცანად.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინიტროსთან და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად გაითვალისწინოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმაში კადრებზე სკოლამდელ დაწესებულებათა მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ამასთან განსაზღვროს უმაღლესი და საშუალო სპეციალური პედაგოგიური განათლების მქონე მუშაკთა კონტინგენტის რაოდენობა საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შეიმუშაოს და განახორციელოს სკოლამდელი დაწესებულებებისათვის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრების მომზადების შემდგომი სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებანი, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სრულყოფას რესპუბლიკის თავისებურებათა გათვალისწინებით, სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოების, მეთოდიკური ლიტერატურის შექმნასა და თარგმნას ქართულ ენაზე, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად, ცენტრალიზებული წესით უზრუნველყონ საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი საჭირო ავეჯით, ინვენტარით, სათამაშოებით, თვალსაჩინო სასწავლო და დიდაქტიკური საშუალებებით, საკანცელარიო ნივთებით, ჭურჭლით, სათანადო სპორტული მოწყობილობითა და სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო აპარატურით იმ სამინისტროებისა და უწყებების განაცხადების თანახმად, რომელთაც აქვთ ასეთი დაწესებულებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გამონახოს შესაძლებლობა და მთლიანად დააკმაყოფილოს 1981 წლის განმავლობაში საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მოთხოვნილება ინვენტარზე, ავეჯსა და სხვა მოწყობილობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განაცხადების მიხედვით.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ წარმოადგინოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან შეთანხმებული წინადადებანი საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებზე გასაცემი საქონლის ნუსხის გადასინჯვის შესახებ, იმ მხრივ, რომ გადიდდეს უნაღდო ანგარისწორებით გასაცემი საქონლის ნომენკლატურა.

11. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და ორგანიზციებმა, რომელთაც აქვთ საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი, დააყენონ საკითხი შესაბამისი საკავშირო ორგანოების წინაშე იმის შესახებ, რომ საჭიროა მათი სახსრების ხარჯზე მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ამ დაწესებულებათა ქსელი რესპუბლიკაში და შეტანილ იქნას შესაბამისი დავალებანი 1982—1985 წლების წლიური გეგმების პროექტებში. ამასთან, მხედველობაში იქონიონ სადღეღამისო საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების ქსელის უპირატესი განვითარება.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოაგვარონ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა კვების პროდუქტებითა და სატრანსპორტო საშუალებებით მომარაგების საკითხი, მიაღწიონ ბავშვთა მოვლა-შენახვისა და კვებისათვის გამოყოფილი თანხების მთლიანად ათვისებას.

13. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას, კერძოდ, სკოლამდელ დაწესებულებათა დაკომპლექტებას შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებით;

— უზრუნველყოს განუხრელი შესრულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 9 ივნისის № 384 დადგენილებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და 1975 წლის 3 ოქტომ-ბრის № 610 დადგენილებისა „სკოლამდელ დაწესებულებებში ბავ-შვთა დაავადების შესახებ“.

14. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ უზრუნველყონ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა შეუფერხებელი მომარაგება კვების პროქტებითა და საბავშვო საქონ-ლით. ამასთან, განუხრელად შეასრულონ შესაბამისი სადირექტივო ორგანოების დადგენილებანი.

15. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწ-ველობის სამინისტრომ უზრუნველყოს შესრულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 9 ივნისის № 485 დადგენილები-სა „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სხვა სა-ბავშვო დაწესებულებათა ავეჯისა და ინვენტარის წარმოების შემ-დგომი გაფართოებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“.

16. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ:

— გააძლიეროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობე-ბის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ბავშვთა სკოლამდელი აღზრ-დის გაუმჯობესების საქმეში, მიაღწიოს იმას, რომ მათ უცილობ-ლივ შეასრულონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 28 აპრილის № 295 დადგენილება „კოლმეურნეობებში ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“;

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად განიხილოს და გადაწყვიტოს სასოფლო მცირეკომპლექტიანი საბავ-შვო ბაღების გამსხვილებისა და მათი ოპტიმალური განლაგების სა-კითხები.

17. სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა, რომელ-თაც აქვთ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა განვითარებული ქსელი:

— უზრუნველყონ აპარატში შესაბამის ქვედანაყოფთა შექმნა ან გამოყონ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის პასუხისმგებელი პირები დამტკიცებული საშტატო ერთეულებისა და ზღვრულ ასიგნობათა ხარჯზე, შეარჩიონ და დანიშნონ ამ თანამდებობებზე სკოლამდელი აღზრდის გამოცდილი მუშაკები, მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით;

— შეუთანხმონ, როგორც წესი, სკოლამდელი დაწესებულებების გამგეთა, აღმზრდელთა, მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელთა შერჩევისა და დანიშვნის საკითხები სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს, ხოლო ექიმთა შერჩევისა და დანიშვნის საკითხები — ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებს;

— ყოველწლიურად 25 დეკემბერს წარუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინფორმაციები საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის მიმდინარეობის, მათი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის, კადრებით დაკომპლექტების მდგომარეობის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ შესაბამისი წინადადებებითა და რეკომენდაციებითურთ, ხოლო საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ანგარიშები საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის მდგომარეობის შესახებ.

18. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაეკისროთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილებას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის კულტურისა და განათლების განყოფილებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე

საქართველო სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიძე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების შესრულების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 25 ნოემბრის დადგენილება „საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და მოწონებულ იქნას აღნიშნული დადგენილების სარეალიზაციოდ შემუშავებული კომპლექსური გეგმა (თან ერთვის).

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა, თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა, სამინისტროს აპარატის სამმართველო-განყოფილებებმა:

— თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში განუხრელად განახორციელონ და მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სსრ სკოლამდელ დაწესებულებათა რესპუბლიკური დათვალიერების ჩამტარებელი კომისიის მოხსენებითი ბარათით „საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ“ და მათ სარეალიზაციოდ შემუშავებული კომპლექსური გეგმით;

— მკვეთრად გაუმჯობესონ სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, აამაღლონ სკოლამდელი დაწესებულებების კოლექტივების პასუხისმგებლობა აღსაზრდელთა ყოველმხრივი განვითარებისათვის, სათანადო ყურადღება მიაქციონ სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის შემდგომ განვითარებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და ბავშვთა ცხოვრების პირობების წორ ორგანიზაციას.

3. სრულყონ ყველა უწყების სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის მართვის ფორმები და მეთოდური დონე. დაამყარონ საქმიანი კონტაქტები იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელობასთან, რომელთა დაქვემდებარებაში იმყოფებიან სკოლამდელი დაწესებულებები და გაუწიონ სათანადო დახმარება. როგორც წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი, აიკრძალოს სხვა უწყებათა და სამინისტროების სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიური კადრის შერჩევა-დანიშვნა სახალხო განათლების ორგანოებთან შეთანხმების გარეშე.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის 25 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე ყოველწლიურად ტარდება რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა დათვალიერება. ყოველი წლის 15 სექტემბრამდე სახალხო განათლების ორგანოებმა დათვალიერების შედეგების შესახებ მასალები უნდა წარმოადგინონ ზემდგომ ორგანოებში მოსახსენებლად.

5. დათვალიერებაში მიღწეული წარმატებებისათვის გამარჯვებულად ჩაითვალოს და დაჯილდოვდნენ დიპლომებით რესპუბლიკის 100 სკოლამდელი დაწესებულების კოლექტივი (სია თან ერთვის), საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო (მინისტრი შ. ჭანუყვაძე — შეფი), გორის სახალხო დეპუტატთა რაიაღმასკომი (თავმჯდომარე რ. ჯავახიშვილი) და ამავე რაიონის სოფელ ძევერის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ვ. სუხიშვილი), ხოლო პირველი პრემიით (500 მანეთი) და დიპლომებით — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 63 ბაგა-ბაღის (გამგე ლ. მოსიძე), ორი მეორე პრემიით (300 მანეთი) — თბილისის საქარხნო რაიონის საავიაციო ქარხნის № 66 ბაგა-ბაღის (გამგე მ. ოთარაშვილი), გორის რაიონის სოფელ ატენის ბაგა-ბაღის (გამგე ლ. შავდათუაშვილი), სამი მესამე პრემიით (200 მანეთი) — ცხინვალის № 7 ბაგა-ბაღის (გამგე ი. გაგლოევა), ქობულეთის № 5 საბავშვო ბაღის (გამგე ნ. მსხალაძე) ქ. ქუთაისის № 1 ბაგა-ბაღის (გამგე დ. ჯაფარიძე) კოლექტივები.

დაწესებული პრემიებისათვის სათანადო სახსრები ბიუჯეტიდან უნდა გაიღონ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 30 აპრილის № 523/გ განკარგულების საფუძველზე.

6. სკოლამდელი აღზრდისა და მომარაგების მთავარმა სამმართველოებმა (ამხ. გ. აბდუშელიშვილი, ამხ. ო. კერესელიძე) უზრუნველყონ დათვალიერებაში გამარჯვებულთათვის დიპლომის ნიმუშის დამზადება და დაბეჭდვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სკოლამდელი აღზრდის სამმართველომ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებლად ორგანიზებულად და მაღალ დონეზე მოამზადოს რესპუბლიკური თათბირი, სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტების, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, სხვა სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლების, განათლების განყოფილებათა გამგეებისა და სკოლამდელი აღზრდის მუშაკთა აქტივის მონაწილეობით.

თათბირ-სემინარი ჩატარდეს 1981 წლის აპრილში ქ. თბილისში.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბამ (ამხ. ა. ბაკურაძე) სასწრაფოდ დაბეჭდოს აღნიშნული ბრძანება და სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე წარდგენილი მეთოდური რეკომენდაციები („ზეიმები საბავშვო ბაღში", „ადრეული, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა რაციონალური და დიეტური კვება", „მეცადინეობები სახვით საქმიანობაში უფროსი ასაკის ბავშვებთან", „მშობლებთან მუშაობის ფორმები და შინაარსი საბავშვო ბაღში", „სკოლამდელი დაწესებულებების საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის ჩატარების შესახებ".

9. აღნიშნული ბრძანება კომპლექსური გეგმითა და რესპუბლიკური დამთვალიერებელი კომისიის მოხსენებითი ბარათით დაეგზავნოს რესპუბლიკის სახალხო განათლების განყოფილებებსა და შესაბამის ორგანიზაციებს.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველომ და სახალხო განათლების ინსპექციამ (ამხ. ამხ. გ. აბდუშელიშვილი, თ. ჩუბინიძე) კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება.

მინისტრი პირველი მოადგილე **ზ. ლომიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობა

საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1980 წლის 19 თებერვლის დადგენილების შესაბამისად, 1980 წლის 1 მარტიდან 1 მაისამდე რესპუბლიკაში მიმდინარეობდა საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა და საბავშვო სახლების დათვალიერება. დათვალიერების ჩატარებაში მონაწილეობდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სამინისტროთა, უწყებათა, პარტიულ და საბჭოთა ორგანოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელები, მოწინავე მუშები და კოლმეურნეობები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ფართო საზოგადოებრიობა.

სკოლამდელ დაწესებულებათა რესპუბლიკურმა დათვალიერებამ, როგორც გათვალისწინებული იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული დებულებით, დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა აღზრდისა და მომსახურების პრობლემებისადმი პარტიულ და სახელმწიფო ორგანოთა, სამეურნეო ორგანიზაციათა ყურადღების მიპყრობის საქმეში, საშუალება მოგვცა ჩავწვდომოდით მათს საქმიანობას, გაგვეანალიზებინა იმ საკითხთა ფართო წრე, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენენ საბავშვო დაწესებულებათა მუშაობაზე, ყურადღება გაგვემახვილებინა არსებულ ნაკლოვანებებზე და დაგვესახა საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის შემდგომი განვითარების ამოცანები.

დათვალიერების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბავშვო სკომლამდელ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და კვების პროდუქტებით მომარაგების, მათი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებისა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, ბავშვთა ჯანმრთელობის განმტკიცებისა და აღზრდის სრულყოფის, აღნიშნული დაწესებულებების კადრებითა და საჭირო ინვენტარით, სასწავლო თვალსაჩინოებებითა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათამაშოებით უზრუნველყოფის პრობლემათა გადაჭრის საკითხებს. დათვალიერებამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სახალხო განათლების ამ რგოლის მუშაობით სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა და დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა დაინტერესების გაძლიერებას. დათვალიერების მსვლელობაში რამდენადმე გამოცოცხლდა საშეფო საქმიანობა .საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის დამატებით დაიხარჯა 810 ათასი მანეთი, გამოიყო 435 ათასი მანეთის ავეჯი, ინვენტარი და სათამაშოები.

ნაყოფიერად იმუშავეს საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა და პედაგოგიურმა კოლექტივებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა. დათვალიერების პერიოდში ყველგან მოეწყო შაბათობები, გაუმჯობესდა ბავშვთა საყოფაცხოვრებო და სანიტარიულ-ჰიგიენური მომსახურების პირობები, კეთილმოეწყო საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ეზოები და ინტერიერები, შეიკსო სასწავლო თვალსაჩინოებათა და სათამაშოთა ფონდი.

მთლიანად დათვალიერების შედეგების განზოგადებისას უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების, აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი განმტკიცებისა და გაუმჯობესებისათვის. 1971 წელთან შედარებით საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა რიცხვი 418 ერთეულით გაიზარდა, ხოლო აღსაზრდელთა რაოდენობა — 1.171-ით.

განსაკუთრებით საყურადღებოა 1979 წელს — ბავშვთა საერთაშორისო წელს — განხორციელებული ღონისძიებანი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ სპეციალურად განიხილა და მიიღო დადგენილება „საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის გაძლიერების შესახებ“. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1979 წლის 28 სექტემბრის № 675 დადგენილებით დაამტკიცა სამინისტროთა, უწყებათა, საწარმო-დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და საბჭო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თა მეურნეობათა სახსრებით საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების კონკრეტული გეგმა 1980—1985 წლებისათვის. მრავალი წლის განმავლობაში პირველად გასულ, 1979 წელს, შესრულდა სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა.

სკოლებისა და საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობაში საშეფო დახმარების კარგი ინიციატივა გამოიჩინა ზუგდიდის რაიონმა. ეს ინიციატივა მოწონა საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა. მას მხარი დაუჭირეს და ეფექტიანი ღონისძიებებით გამოეხმაურნენ ქობულეთის, ხელვაჩაურის, გურჯაანის, გორის, ცხაკაიის, ლანჩხუთის, ლაგოდეხისა და მახარაძის რაიონებში.

დათვალიერების პერიოდში სახალხო დეპუტატთა აღგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ბევრ ქალაქსა და რაიონში გამოყვეს დამატებითი სახსრები საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა და საბავშვო სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დროულად ჩატარების (ასპინძის, ახალციხის, გორის, გარდაბნის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, სიღნაღის, სამტრედიის, გურჯაანის, ხაშურის, თელავის რაიონებში, ქალაქებში ბათუმსა და რუსთავში), რბილი მაგარი და სპორტული ინვენტარის შეძენის (ვანის, ქობულეთის, ამბროლაურის, ონის, სამტრედიის, ხელვაჩაურის რაიონებში, ქალაქებში ბათუმსა და ზუგდიდში), ეზოების კეთილმოწყობის (ქარელის, ხობის, საგარეჯოს, გორის, ხელვაჩაურის რაიონებში, ქალაქებში თბილისსა და გორში) მიზნით. კალინინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა იზრუნა № 4 საბავშვო ბაღის მუშაობის პირობების გასაუმჯობესებლად დამატებითი ფართობის გამოყოფისათვის.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ საშეფო № 14 საბავშვო ბაღს (ქალაქ თბილისის კალინინის რაიონი) გადასცა ავტომანქანა „მოსკვიჩი". სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად (ინვენტარის, სათამაშოების შეძენა, კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ჩატარება) დიდ სასარგებლო მუშაობას ეწევიან შეფი ორგანიზაციები ქალაქ თბილისის კიროვის, კალინინის, საქარხნო, 26 კომისრის რაიონებში, ქალაქებში ქუთაისსა და გორში, ახმეტის, ხობის ,ორჯონიკიძისა და საგარეჯოს რაიონებში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბავშვთა კვება საგარეჯოს, თიანეთის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებებში.

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონში შეიქმნა სპეცმომარაგების ორგანიზაცია ,რამაც მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესა სკოლამდელ დაწესებულებათა უზრუნველყოფა კვების პროდუქტებითა და ბოსტნეულით. ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში მოგვარდა რეგიონის ყველა სკოლამდელი დაწესებულების ნატურალური რძით მომარაგების საკითხი.

სკოლამდელ ბავშვთა მოთხოვნილება-საჭიროებისადმი მზრუნველური დამოკიდებულების მაგალითს წარმოადგენს გორის რაიონის ძევერის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ამხ. ვ. სუხიშვილის საქმიანობა. აღნიშნულმა საბჭოთა მეურნეობამ ააშენა ორი სკოლამდელი დაწესებულება სოფლებში ძევერასა და სათემოში, სადაც შექმნილია ბავშვთა აღზრდის სწორი ორგანიზაციისათვის საჭირო ყველა პირობა. აქ არის ვრცელი სათამაშო და საძინებელი ოთახები, ნაკვეთებად დაყოფილი დიდი ეზო. სოფელ სათემოს საბავშვო ბაღს აქვს აუზი.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ ძევერის საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა მშობლები მთლიანად განთავისუფლდნენ ბავშვთა მოვლა-პატრონობის გადასახდელისაგან. საბჭოთა მეურნეობა დაწესებულებას ამარაგებს კარაქით, ბოსტნეულით, ხილით, თაფლით, ხოლო რძის ქარხანა — რძით, რაც ბევრად უწყობს ხელს ბავშვთა მშობლების — საბჭოთა მეურნეობის მუშების კარგ გუნება-განწყობილებასა და ნაყოფიერ შრომას.

გორის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. რ .ჯავახიშვილმა პრაქტიკაში შემოიღო განსაზღვრულ დღეებში რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეებთან ყოველთვიური შეხვედრები, სადაც ისმენენ მათს ინფორმაციებს, შემდგომ კი ოპერატიულად რეაგირებენ გამოთქმულ წინადადებებსა და მოსაზრებებზე. ასეთი პრაქტიკა ყოველმხრივ მოსაწონი და მხარდასაჭერია.

დათვალიერების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებას.

საგარეჯოს რაიონის სკოლამდელი აღზრდის მეთოდურმა კაბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტმა მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად ჩაატარა თეორიული კონფერენცია თემაზე: „სკოლამდელ ბავშვთა აღზრდა და სწავლება ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითით“.

ქალაქ ქუთაისში გაიმართა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი პედაგოგიური კითხვა, გორის რაიონში მოეწყო სემინარი თემაზე: „ბავშვთა შრომითი აღზრდა საბავშვო ბაღსა და ოჯახში“.

ჯეროვანი ყურადღება ეთმობოდა მეცადინეობათა ჩატარებას. დათვალიერების პერიოდში ეწყობოდა ღია მეცადინეობანი იმ მიზნით, რომ აღმზრდელები გასცნობოდნენ მოწინავე გამოცდილებას, მუშაობის საუკეთესო მეთოდი და გამოცდილება დაინერგა ყოველდღიურ პრაქტიკაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ბავშვთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებას. მეცადინეობათა ჩატარებაში სკოლამდელ დაწესებულებათა აღმზრდელებს ეფექტიანად ეხმარებოდნენ მახლობელი სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლები.

ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 63 საბავშვო ბაგა-ბაღში, რომელიც კადრების გადამზადების საბაზო დაწესებულებაა, ყველა პირობაა შექმნილი პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. აქ მუშაობს მეთოდური კაბინეტი უხვი თვალსაჩინო მასალით, შეძენილია მშობლებთან მუშაობის საინტერესო გამოცდილება.

უნდა აღინიშნოს დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის № 66 საბავშვო ბაგა-ბაღის მუშაობის შინაარსიც. აქ კარგად არის გამწვანებული ეზო, კეთილმოწყობილია მიმდებარე უბნები, აქვთ ცოცხალი კუთხე, საცურაო აუზი, ავტოდრომი ბავშვებისათვის ქუჩაში მოძრაობის წესების შესასწავლად, დადგმულია საბავშვო ატრაქციონი, ქართული და რუსული სტილის ზღაპრული სახლები, მოწყობილია კუთხეები მშობლებისათვის.

ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს მთელი რიგი რაიონების (წითელწყაროს, ცხინვალის, დმანისის, ზნაურის, გუდაუთის, თეთრიწყაროს, თიანეთისა და სხვა) ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულება საბავშვო დაწესებულებათა დათვალიერების ჩატარებისადმი. ზოგიერთი რაიონი (ყაზბეგის ,ხულოს, მაიაკოვსკის, ბორჯომისა და სხვ.) დიდი დაგვიანებით გამოეხმაურა საქართველოს

კპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის 19 თებერვლის დადგენილებას; დათვალიერების მსვლელობაში არ განუხორციელებიათ საჭირო ღონისძიებანი სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცების ,ბავშვთა აღზრდისა და მომსახურების სრულყოფისათვის; პარტიის მთელ რიგ რაიკომებსა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს თავიანთ სხდომებზე არ განუხილავთ დათვალიერების შედეგები.

დათვალიერების პროცესში გამოვლინდა არსებითი ნაკლოვანებანი ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის მუშაობაში არა მარტო დათვალიერების მოწყობის მხრივ, არამედ მთლიანად სკოლამდელი აღზრდის სახელმწიფო სისტემის სრულყოფის თაობაზე პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა შესრულების თვალსაზრისითაც. ამას მოწმობს წალკის, სიღნაღის, ახმეტის, ახალციხისა და სხვა რაიონების სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა.

საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა და საბავშვო სახლების საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და გადაუჭრელი პრობლემები იმის შედეგია, რომ სკოლამდელი აღზრდის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ჯეროვან შეფასებას არ აძლევენ ცალკეული საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროები და უწყებები, საწარმოები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის მშენებლობისა და განვითარების ტემპი ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამ დაწესებულებებით ბავშვთა უზრუნველყოფა შეადგენს 28,6 პროცენტს, მაშინ როცა საერთო-საკავშირო მაჩვენებელი 42 პროცენტია (რესპუბლიკას მეათე ადგილი უკავია კავშირში), სოფლად ეს მაჩვენებელი 15 პროცენტს შეადგენს.

სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის განვითარებაში რესპუბლიკის ჩამორჩენა იმან განაპირობა, რომ მრავალი წლის მანძილზე არ სრულდებოდა კონტინგენტის, განსაკუთრებით კი ამ დაწესებულებათა ამოქმედების სახელმწიფო დავალებანი. კონტინგენტის გეგმა მეათე ხუთწლედშიც არ სრულდება. ჯერ კიდევ მაღალია სახელდა-

ხელოდ მოწყობილ, დაქირავებულ და ავარიულ სადგომებში, აგებულ სკოლამდელ დაწესებულებათა ხვედრითი წონა. ძალზე გადატვირთულია აღსაზრდელთა ჯგუფები. ამ მხრივ ყველაზე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავში და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს აღნიშნულ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა სოფლად, სადაც ბავშვთა უზრუნველყოფა ამ დაწესებულებებით ერთიორად ნაკლებია. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო არადამაკმაყოფილებლად ასრულებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 28 აპრილის № 295 დადგენილებას „კოლმეურნეობებში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ". საბავშვო ბაღების უმეტესი ნაწილი (85 პროცენტი) განლაგებულია არატიპობრივ დაქირავებულ შენობებში, ეზოები კეთილმოუწყობელია, არ გააჩნიათ სათამაშო, სპორტული და შრომითი მოედნები. ყველა მათგანი განიცდის სასწავლო-მეთოდიკური და სასწავლო-დიდაქტიკური ლიტერატურისა და მასალების მწვავე უკმარობას. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა შეიქმნა ამ მხრივ სეზონურ საბავშვო ბაღებში, სადაც ფაქტიურად მათი ფუნქცია ისეთი დაწესებულების დონემდეა დაყვანილი, რომელიც ბავშვთა დროებით თავშესაფარს წარმოადგენს.

რესპუბლიკაში ძალზე ცოტაა სპეციალური დანიშნულების, სანიტარიული ტიპისა და სადღეღამისო სამუშაო რეჟიმის მქონე საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებები.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება სეზონურ სადღეღამისო საკოლმეურნეო სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის საქმე. ამ დაწესებულებათა არსებული ქსელი მხოლოდ 10 პროცენტით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას; ამავე დროს შეიმჩნევა მათი რაოდენობის შემცირების ტენდენცია.

ჩვენს რესპუბლიკას, რომელსაც აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად ჩინებული ბუნებრივი და კლიმატური პირობები აქვს, ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია მოკავშირე რესპუბლიკათა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული ნაკლოვანებებია სკოლამდელ დაწესებულებათა პროექტების, განლაგებისა და მშენებლობის საქმეში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, აგრეთვე საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის განმხორციელებელ საიჯარო ორგანიზაციათა უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად ხშირად ან საერთოდ ძალზე უხარისხოდ სრულდება პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული სამუშაოები. როგორც წესი, ადგილი აქვს დაუმთავრებელი ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების ფაქტებს. ეს განაპირობებს დამატებითი ხარჯების საჭიროებას, სამუშაოთა დამთავრებას დიდი დაგვიანებით, უკვე შესრულებულ სამუშაოთა ხელახლა წარმოებას. ამის გამო ბევრი სკოლამდელი დაწესებულება ერთი წლითა და უფრო მეტი ხნით გვიან იწყებს მუშაობას.

ჯერ კიდევ არის ფაქტები, როცა სკოლამდელი დაწესებულებები შენდება მოძველებული, გეოგრაფიული და კლიმატური პირობებისათვის შეუსაბამო პროექტების მიხედვით.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 28 სექტემბრის № 675 დადგენილება „რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარების შესახებ“. 1980 წელს ნაცვლად ამ დადგენილებით გათვალისწინებული 8.375 ადგილიანი 107 სკოლამდელი დაწესებულებისა, წინასწარი მონაცემებით ჯერჯერობით დამთავრებულია მხოლოდ 29 (27,1 პროცენტი), სადაც 1.785 ადგილია (21,3 პროცენტი).

სკოლამდელ დაწესებულებებს დიდი რაოდენობით აკლიათ ავეჯი, ჭურჭელი, ფიზკულტურაში მეცადინეობისათვის საჭირო საეზოე ნაგებობანი და მოწყობილობა, აგრეთვე სხვა ინვენტარი, სათამაშოები, დიდაქტიკური მასალები, სასწავლო-საკანცელარიო ნივთები. სერიოზული შეფერხებებია კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში. მოუგვარებელია საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხი, განსაკუთრებით სოფლად. საბავშვო ბაღების აღმზრდელები და გამგეები იძულებული არიან თვითონ მიიტანონ კვების პროდუქტები, ხშირად საკუთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ხელით, ამასთან შორ მანძილზე, არ აღმოფხვრილა საბავშვო ბაგა-ბაღებსა და საბავშვო სახლებში უყაირათობისა და ბოროტმოქმედებათა შემთხვევები, ბავშვებისათვის პროდუქტების დაკლების გამო მათი მითვისების ფაქტები.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, აგრეთვე ცეკავშირის სისტემის საწარმოები და გაერთიანებანი არადამაკმაყოფილებლად ასულებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 15 თებერვლის № 126 დადგენილებას „საბავშვო საქონლის წარმოების გადიდების, მისი ხარისხის ამაღლებისა და ვაჭრობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მოუგვარებელია საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებისათვის ავეჯის, ინვენტარისა და მოწყობილობის ფონდების გამოყოფა, რის გამოც რესპუბლიკის განათლების სამინისტრო ვერ აკმაყოფილებს თავისი სისტემის დაწესებულებათა მოთხოვნილებებს, რაც შეეხება ინიციატივის წესით და გეგმის გარეშე აშენებული ობიექტების უზრუნველყოფას (ასეთი საბავშვო სკოლამდელი დაწესებულება კი 700-ია), რესპუბლიკაში ამ საქმისათვის საერთოდ არავინ არ ზრუნავს.

სრულყოფას საჭიროებს საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობა, რაც სამინისტროთა და უწყებათა მიერ ხორციელდება. როგორც ცნობილია, რესპუბლიკის 1.843 საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებიდან 1. 158 (62,8 პროცენტი) განათლების სამინისტროს გამგებლობაშია, ხოლო 685 (37,2 პროცენტი) — სხვა სამინისტროთა და უწყებათა გამგებლობაში. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის სამინისტროს გარდა, არც ერთ მათგანს არ გააჩნია სკოლამდელ დაწესებულებათა საქმიანობისათვის პასუხისმგებელი არათუ ქვედანაყოფი, არამედ მუშაკიც კი, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესაბამისი განყოფილების რეორგანიზაციის შემდეგ აღნიშნულ დაწესებულებებს ფაქტიურად არავინ არ განაგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროები და უწყებები, როგორც წესი, არ უთანხმებენ განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს სკოლამდელ დაწესებულებათა დაპროექტებისა და დაგეგმარების, მათი კადრებით დაკომპლექტების საკითხებს, რითაც უხეშად არღვევენ შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მოსაგვარებელია საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მოთხოვნილებების შესაბამისად კადრების მომზადების დაგეგმვის, მათი განაწილებისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების საკითხები. უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სამინისტროს სისტემაში სკოლამდელი დაწესებულებების გამგეთა 5,8 პროცენტს არა აქვს შესაბამისი განათლების ცენზი, ხოლო სხვა სამინისტროსა და უწყებათა სისტემაში ასეთი პირები 29,2 პროცენტს შეადგენენ. სამინისტროები და უწყებები, უხეშად არღვევენ რა შესაბამის დადგენილებათა და დებულებათა მოთხოვნებს, სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეებსა და აღმზრდელებს, მათ შორის ხშირად არასპეციალისტებს, ნიშნავენ განათლების სამინისტროსთან და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან შეუთანხმებლად.

მოუწესრიგებელია უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა განაწილების პრაქტიკა. მარტო მიმდინარე წელს თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი დაამთავრა 371 სპეციალისტმა, რომელთაგან გაანაწილეს 132 (35,3 პროცენტი), განაწილებისაგან გაათავისუფლეს — 87 (23,5 პროცენტი), გაუნაწილებელი დარჩა — 152 (41,2 პროცენტი), თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა განაწილებისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების საქმეშიც. ამასთან, სკოლამდელ დაწესებულებებში, მეთოდკაბინეტებში, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებში სამუშაოდ ხშირად არასპეციალისტები იგზავნებიან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მოუგვარებელია საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების დაგეგმვა მათი ქსელის შემდგომი გაფართოების გათვალისწინებით.

რადიკალურ გაუმჯობესებას მოითხოვს სკოლამდელი დაწესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულებებისათვის კადრების მომზადების მატერიალური ბაზა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. თბილისის ა .ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ სასწავლებელში შექმნილი არ არის საჭირო კაბინეტები და ლაბორატორიები, სტუდენტებს არ გააჩნიათ სახელმძღვანელოები და მეთოდიკური საშუალებანი ქართულ ენაზე, ჯერ კიდევ მოუგვარებელია, განსაკუთრებით პედაგოგიურ სასწავლებელში, ლექტორთა და მასწავლებელთა შერჩევის სასითხები; არ ხორციელდება ჯეროვანი მუშაობა მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

დიფერენცირებულად არ უდგებიან სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელთა, აღმზრდელთა და სხვა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციას. ამ მხრივ ერთგვარი ძვრები დაისახა განათლების სამინისტროს სისტემაში, რასაც ვერ ვიტყვით სხვა სამინისტროებსა და უწყებებზე.

ამის შედეგად სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელთა და აღმზრდელთა ნაწილი საკმაოდ კარგად ვერ ერკვევა აღზრდის პროგრამის მოთხოვნებში, ყურადღებას არ აქცევს ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, მათ მომზადებას სკოლისათვის, მთლიანად ვერ ფლობს მათთან მუშაობის მეთოდებსა და ფორმებს. სერიოზული ნაკლოვანებებია აგრეთვე მათი თვითგანათლების ორგანიზაციაში. მთელ რიგ სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებსა და აღმზრდელებს ნაკლებად აინტერესებთ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მეცნიერების ახალი მიღწევები, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ სპეციალური საკავშირო და რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთები მათ თითქმის გამოწერილი არა აქვთ. სულ რესპუბლიკაში საკავშირო ჟურნალების, ხელისმომწერთა რაოდენობა 2,335 კაცს შეადგენს.

ზემოაღნიშნულის გამო, ბავშვთა აღზრდის ხარისხი ყოველთვის როდი შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, არ ითვალისწინებს ახალ შინაარსზე სასკოლო აღზრდის გადასვლის, სკოლისათვის ბავშვთა მომზადების საკითხებს.

ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში როდია შექმნილი შემოქმედებითი შრომის, თითოეული ბავშვისადმი მზრუნველური და ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიზი დამოკიდებულების, ინდივიდუალურ თავისებურებათა გამჟღ-
ლენის, მათთან დიფერენცირებული მუშაობის ატმოსფერო. საკმა-
რისი ყურადღება არ ეთმობა მშობლებთან ურთიერთობას, ოჯახთან
კონტაქტის დამყარებას, აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობე-
ბის შესწავლას და, ამის საფუძველზე, ბავშვთა სკოლამდელი საზო-
გადოებრივი აღზრდის შერწყმას ოჯახში აღზრდასთან.

მთელ რიგ სკოლამდელ დაწესებულებებში დაბალ დონეზე
დგას ბავშვთა ფიზიკური აღზრდა. აღმზრდელთა დიდი ნაწილი არ
ითვალისწინებს იმას, რომ ბავშვთა ყოველმხრივი ფიზიკური განვი-
თარება და ჯანმრთელობის განმტკიცება საბავშვო სკოლამდელ და-
წესებულებათა უპირველესი ამოცანაა, რისთვისაც საჭიროა სამკურ-
ნალო-პროფილაქტიკურ, ჰიგიენურ და პედაგოგიურ ღონისძიებათა
რეალიზაცია, აგრეთვე სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის
დაცვის ორგანოების ერთობლივი მიზანდასახული მუშაობა ამ მი-
მართულებით.

მეტ წილ დაწესებულებებს არა აქვთ სპორტული მოედნები და
დარბაზები, ხოლო არსებული მოედნები და დარბაზები აღჭურვილი
არაა საჭირო მოწყობილობით, ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა
სამედიცინო-პროფილაქტიკურ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა
განხორციელების, აგრეთვე ამისათვის სათანადო მატერიალურ-ტექ-
ნიკური ბაზის შექმნის მხრივ. ამის შედეგად ყველა სკოლამდელ და-
წესებულებაში როდია შექმნილი დღის რეჟიმის დაცვისათვის საჭი-
რო პირობები. აღნიშნულ დაწესებულებათა დიდ ნაწილს არა აქვს
შესაძლებლობა იმისა, რომ მოაწყონ ბავშვთა დაძინება დღისით, გა-
იყვანონ ისინი სუფთა ჰაერზე, გამოაწრთონ და სხვ. აღნიშნულის
გამო შეიმჩნევა ბავშვთა ავადობის ზრდის ტენდენცია: თუ 1978
წელს სხვადასხვა ავადმყოფობის გამო გაცდა 1.710.276 ბავშვ-დღე,
1979 წელს ეს ციფრი გაიზარდა 1.928.000-მდე, რაც 217.724 ბავშვ-
დღით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მისი ად-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გილობრივი ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ შესაბამის სამკურნალო-პროფილაქტიკურ ზედამხედველობას სკოლამდელი ასაკის ბავშვებისადმი. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ჯეროვან დახმარებას არ უწევს საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა პედაგოგიურ კოლექტივებს, მშობლებს. სათანადო ყურადღება არ ეთმობა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და სკოლაში სასწავლებლად მათი მომზადების საკითხთა მეცნიერულ კვლევას, აღმზრდელობითი მუშაობისადმი კომპლექსურ მიდგომას, მისი რეალიზაციის ეფექტიანი მეთოდებისა და ფორმების ძიებას.

რესპუბლიკაში მოუგვარებელია ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის პრობლემებზე მუშაობის კოორდინაციის საქმე, რასაც უმაღლეს სასწავლებელთა შესაბამისი კათედრები და პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ახორციელებენ. თითქმის უგულებელყოფილია პედაგოგიური მუშაობის მოწინავე გამოცდილების, სკოლამდელ დაწესებულებათა მართვისა და მათი ეკონომიკის, აგრეთვე აღნიშნულ დაწესებულებებში ბავშვთა ფიზიკური აღზრდისა და ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე პრობლემების კვლევა. საკმარისი ყურადღება არ ეთმობა ყოველდღიურ ზრუნვას სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის გონებრივი, შრომითი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის მეთოდიკის, აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავებისათვის, აგრეთვე გამოკვლევათა შედეგების პრაქტიკაში დანერგვისათვის.

საგულისხმოა დაბალი ხარისხი განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული „აღზრდის პროგრამისა საბავშვო ბაღებისათვის“ და მეთოდური მითითებებისა“, რომლებიც უკვე აღარ შეესაბამებიან ახალ თანამედროვე მოთხოვნებს, არ ითვალისწინებენ რესპუბლიკის თავისებურებების, აღსაზრდელთა ასაკობრივი თვისებების მიხედვით ბავშვთა სკოლამდელ აღზრდასთან დაკავშირებულ სპეცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიკურ საკითხებს; არის შემთხვევები, როცა პროგრამაში შეაქვთ სკოლებში შესასწავლი მასალა (ლექსები, მოთხრობები და ა. შ.), სრულფასოვნად არ ხორციელდება მოთხოვნები სკოლაში სასწავლებლად ბავშვთა მიზნობრივი მომზადებისათვის.

პედაგოგიური პრესა და შესაბამისი რესპუბლიკური გამოცემები თავიანთ პუბლიკაციებში ძალზე მცირე ადგილს უთმობენ სკოლამდელი აღზრდის პრობლემებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ორგანო, მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები (განათლების, ჯანმრთელობის დაცვის ,მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, ადგილობრივი მრეწველობის, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროები, საბჭშენი, ცეკავშირის გამგეობა და სხვ.) ვერ უზრუნველყოფენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ უკანასკნელ წლებში მიღებულ იმ უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა შესრულებას მთელი მოცულობით, რომლებშიც განსაზღვრულია სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოების, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ბავშვთა მომსახურებისა და კვების გაუმჯობესების, ავეჯის, ინვენტარისა და სათამაშოების წარმოების, ფიზიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის სრულყოფის კონკრეტული ამოცანები და სხვ. კერძოდ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 28 აპრილის № 295 დადგენილებას „კოლმეურნეობებში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 9 ივლისის № 420 დადგენილებას „საქართველოს სს რესპუბლიკაში ბავშვთა კვების პროდუქტების სამრეწველო წარმოების შემდგომი განვითარების შესახებ“, „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 3 ოქ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტომბრის № 610 დადგენილებას „სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა დაავადების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 12 ოქტომბრის № 703 დადგენილებას „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში მოსწავლეთა და ბავშვთა კვების მდგომარეობისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 13 თებერვლის № 126 დადგენილებას „საბავშვო საქონლის წარმოების გადიდების, მისი ხარისხის ამაღლებისა და ვაჭრობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, 1979 წლის 27 თებერვლის № 159 დადგენილებას „საქართველოს სს რესპუბლიკაში ბავშვის საერთაშორისო წლის ჩატარების შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს XI სესიაზე 1979 წლის 15 ივნისს მიღებულ დადგენილებას „საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლებისა და 1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცანებთან დაკავშირებით მათი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 28 სექტემბრის № 675 დადგენილებას „რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარების შესახებ“ და 1980 წლის 9 ივნისის № 485 დადგენილებას „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ავეჯისა და ინვენტარის წარმოების შემდგომი გაფართოებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“.

საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები არ იჩენენ ჯეროვან მომთხოვნელობას სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაც-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოთა ხელმძღვანელების და სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციებისადმი, რომლებიც მოწოდებული არიან შექმნან საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელთა აღზრდის, მომსახურებისა და დასვენების ორგანიზაციისათვის საჭირო პირობები.

მოგახსენებთ რა საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიღებულ იქნას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილება „რესპუბლიკაში სკოლამდელი აღზრდის მდგომარეობისა და საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

გიდგენთ შესაბამისი დადგენილების პროექტს, რომელიც კომისიამ შეიმუშავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ერთად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა რესპუბლიკური დათვალიერების ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე

ვ. სირაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 12 თებერვლის დადგენილებით

კომპლექსური გეგმა

სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 25 ნოემბრის დადგენილების სარეალიზაციო ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 28 სექტემბრის დადგენილების „რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარების შესახებ“ შესასრულებლად, პედაგოგიური კადრებით უზრუნველსაყოფად ზემდგომ ორგანოებში წინადადებების წარდგენა ქ. ქ. ბათუმში, სოხუმში, ცხინვალსა და ქუთაისში პედაგოგიური სასწავლებლის გახსნის შესახებ.

1981—1982 წლები

კადრების სამმართველო,
სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

2. სხვა უწყებებისა და სამინისტროების სკოლამდელ დაწესებულებათა კადრებით დაკომპლექტების მდგომარეობის შესწავლა, მათთვის სათანადო დახმარების გაწევა და ღონისძიებების დასახვა მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის.

1981—1982 წლები

კადრების სამმართველო,
სკოლამდელი აღზრდის სამმართველო,
სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი

3. სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის მართვისა და ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკოლამდელი დაწესებულებებისადმი, სახალხო განათლების განყოფილებათა ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღვანელობის შემოწმება, სკოლამდელ დაწესებულებათა ცნობარის გამოცემა, განათლების განყოფილებათა გამგეებისა და სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორ-მეთოდისტთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარება.

1981 წლის ოქტომბრიდან 1985 წლის დეკემბრამდე

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი

4. სკოლამდელ დაწესებულებებში მშობლიური ენის სწავლებისა და მეტყველების განვითარების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით კონკრეტული ღონისძიებების დასახვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის დადგენილების შუქზე.

1981 წლის თებერვალი-მარტი

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

5. ყველა უწყების სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობისადმი ხელმძღვანელობის უკეთ კოორდინაციის მიზნით საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს დებულების შემუშავება და მისი ზემდგომ ორგანოებში წარდგენა.

1981 წლის აპრილი-მაისი

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებების, თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს მიერ მათ ტერიტორიაზე არსებულ ყველა უწყების სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის, კადრებით, ბავშვებით დაკომპლექტების, კონტინგენტის შესრულების, საყოფაცხოვრებო პირობების, კვების მდგომარეობის სისტემატური შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება.

1981—1985 წლები

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ოლქი, რაიონებისა და ქალაქების სახალ-ხო განათლების განყოფილებები, თბილისის სახალხო განათლების სამმართველო

7. მშენებარე სკოლამდელი დაწესებულებების ექსპლოატაციაში დროულად და ხარისხიანად გადაცემის მიზნით მკაცრი კონტროლის დაწესება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 28 სექტემბრის № 675 დადგენილების „რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარების შესახებ“ განუხრელად განხორციელებაზე.

კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

8. სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობისათვის ახალი გაუმჯობესებული ტიპობრივი პროექტების შემუშავება.

1981—1985 წლები

კაპიტალური მშენებლობის განყოფილება

9. მცირეკომპლექტიან სკოლამდელ დაწესებულებათა არსებული მდგომარეობის შესწავლა და კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვა მათი გამსხვილებისა და ოპტიმალური განლაგებისათვის.

1981—1985 წლები

საგეგმო-საფინანსო სამმართველო, კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო.

10. ზემდგომ ორგანოებში წინადადებათა წარდგენა სკოლამდელ დაწესებულებებზე უნაღდო ანგარიშსწორებით გასაცემი საქონლის ნომენკლატურის გადიდების შესახებ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან შეთანხმებით.

1981 წლის თებერვალი-მარტი

მომარაგების მთავარი სამმართველო

11. კონკრეტული ღონისძიებების დასახვა სკოლამდელ დაწესებულებათა საჭირო ავეჯით, ინვენტარით, სათამაშოებით, თვალსაჩინო-სასწავლო, დიდაქტიკური, ტექნიკური საშუალებებით, ჭურჭლით და სხვა მოწყობილობით უზრუნველსაყოფად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1981—1982 წლები

მომარაგების მთავარი სამმართველო

12. სკოლამდელ დაწესებულებებში კვების პროდუქტების დროულად მიწოდების მიზნით ყოველწლიურად მოტოროლერის გამოყოფა.

1981—1985 წლები

მომარაგების მთავარი სამმართველო

13. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შრომითი აღზრდის შემდგომი სრულყოფისათვის სათანადო ღონისძიებების გატარება შრომის იარაღების მოწყობილობებით სკოლამდელ დაწესებულებათა უზრუნველსაყოფად.

1981 წლის დეკემბრიდან 1982 წლის დეკემბრამდე

მომარაგების მთავარი სამმართველო,

სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი,

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

14. რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში ჩატარებული სრულიად საკავშირო დათვალიერება-კონკურსის „მწვანე შუქის“ შედეგების შეჯამება.

1981 წლის თებერვალი-მარტი

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

15. სკოლამდელ დაწესებულებებში საკავშირო დათვალიერების „ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და დაავადებათა შემცირების შესახებ“ შედეგების სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროებში წარდგენა.

1981 წლის თებერვალი

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

16. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ქ. თბილისის № 1 ბაგა-ბაღის მოწინავე გამოცდილების განზოგადება.

1981 წელი

ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველო, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი

17. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური საბჭოს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ზემდგომ ორგანოებში სათანადო წინადადებების წარდგენა.

1981 წლის თებერვალი

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

18. სკოლამდელ დაწესებულებათა მეთოდური მუშაობის შემდგომი სრულყოფის მიზნით რესპუბლიკის 10 რაიონსა და ქალაქში სკოლამდელ მუშაკთა სემინარების ჩატარება.

1981 წლის იანვარი-დეკემბერი

სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

19. გამოცემა და სკოლამდელი დაწესებულებებისათვის მეთოდური მითითებებისა და რეკომენდაციების დაგზავნა „მეცადინეობები სახვით საქმიანობაში საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფის ბავშვებისათვის", „ზეიმები საბავშვო ბაღში", „სურათების სერიები", „ადრეული, სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვთა რაციონალური და დიეტური კვება", „მშობლებთან მუშაობის ზოგიერთი საკითხი საბავშვო ბაღში", „ხუთი წლის ასაკის ბავშვის სკოლისათვის მომზდება". სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე რუსულიდან ქართულ ენაზე რამდენიმე დასახელების ლიტერატურის თარგმნა; მონოგრაფიების გამოსაცემად მომზადება სკოლამდელი ასაკის ბავშვის პიროვნების ფორმირებისადმი კომპლექსური მიდგომის პრობლემებზე; „აღზრდის პროგრამის" გადამუშავება და მისი გამოსაცემად მომზადება.

1981—1985 წლები

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სკოლამდელი აღზრდის რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური მეთოდური კაბინეტი, სკოლამდელი აღ-ზრდის სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი

20. სკოლამდელ დაწესებულებებში აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის საკითხების შესწავლა.

1981—1985 წლები

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

21. მეთოდური გაერთიანებების მუშაობის ფორმებისა და შინაარსის გაუმჯობესება.

სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

22. სკოლამდელ დაწესებულებათა დღის რეჟიმის მეცნიერულ-მეთოდიკური კვლევა.

1981—1982 წლები

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

23. სათანადო ღონისძიებების დასახვა მშობლებთან მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მეთოდური რეკომენდაციების მომზადება მათი პედაგოგიზაციისათვის.

1981—1983 წლები

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

24. მოწინავე გამოცდილების განზოგადება როგორც რესპუბლიკაში, ასევე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ; პედაგოგიური კითხვის ჩატარება.

1981—1985 წლები

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

25. მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის ყველა უწყების სკოლამდელი აღზრდის მუშაკის, ხოლო 1981 წლისათვის — 2070 ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრის გადამზადება.

1981—1985 წლები

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, კადრების სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

26. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში თემატური სემინარების ჩატარება სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღზრდისა და სწავლების აქტუალურ საკითხებზე; მეთოდური კაბინეტებისა და მეთოდური გაერთიანებების მოწინავე გამოცდილების განზოგადება და დანერგვა.

1981—1985 წლები

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ გამოცხადებულ რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა დათვალიერებაში გამარჯვებულთა ს ი ა

აჭარის ასსრ

1. ქ. ბათუმის 28-ე საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე გ. შანიძე)
2. ქ. ბათუმის 32-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე დ. ნიქაბაძე)
3. ქ. ბათუმის 36-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე კუკულაძე)
4. ხელვაჩაურის რაიონის ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე გ. ვარშალომიძე)
5. ქობულეთის რაიონის სოფელ ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ნ. განნა)

აფხაზეთის ასსრ

1. სოფელ ბზიფის დ. იფნარის ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ნ. ხაგუშ)
2. ქ. სოხუმის მე-6 ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ნ. გაიდამაკი)
3. ქ. სოხუმის თამბაქოს ქარხნის მე-8 საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე თ. შაკრილი)

ქ. თბილისი

1. ქ. თბილისის ლენინის რაიონის 46-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე თ. სინაურიძე)
2. ქ. თბილისის ლენინის რაიონის 31-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ს. ხახვიაშვილი)
3. ქ. თბილისის ლენინის რაიონის 32-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე მ. ტატიშვილი)
4. ქ. თბილისის გლდანის რაიონის 102-ე ბაგა-ბაღი (გამგე ნ. სიხარულიძე)
5. ქ. თბილისის გლდანის რაიონის 107-ე ბაგა-ბაღი (გამგე ტ. კულუმბეკოვა)
6. ქ. თბილისის გლდანის რაიონის 81-ე ბაგა-ბაღი (გამგე მ. ბიჭიაშვილი)
7. ქ. თბილისის პირველი მაისის მე-11 ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ც. ჟუჟუნაშვილი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის 39-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ლ. ცხვარიაშვილი)

9. მაუდკამვოლის კომბინატის 91-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე მ. ბობოხიძე)

10. ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის 34-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ი. ბერაძე)

11. ქ თბილისის კალინინის რაიონის მე-14 საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ნ. კეპულაძე)

12. ქ. თბილისის კალინინის რაიონის 102-ე საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ნ. კალანდარიშვილი)

13. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მე-2 რესპუბლიკური ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ე. ჩხეიძე)

14. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ქ. კაკუშაძე)

15. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 27-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ე. ბოლღაშვილი)

16. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 74-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ვ. გუბელაძე)

17. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 75-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე მ. ნასუაშვილი)

18. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 83-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე მ. ჩუბინიძე)

19. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1-ლი რესპუბლიკური ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ნ. ესართია)

20. ქ. თბილისის კიროვის რაიონის 68-ე საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ვ. მუშეგიანი)

21. ქ. თბილისის კიროვის რაიონის 71-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე შ. ლიპარტიანი)

22. ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის 45-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე რ. ელბაქიძე)

23. ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-2 ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ი. კანდელაკი)

24. ქ. თბილისის საქარხნო რაიონის 28-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ე. ჟორდანია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. ქ. თბილისის საქარხნო რაიონის 38-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ც. ფარჩუკიძე)

სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან:

1. ქ. ქუთაისის მე-3 ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე მ. ქაჯაია)

2. ქ. ქუთაისის მე-12 ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე მ. ვალიშვილი)

3. ქ. ქუთაისის მე-18 საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ლ. ლაფერაძე)

4. ქ. ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ი. აფრიდონიძე)

5. ქ. ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე მ. ჩიტოშვილი)

6. ქ. ჭიათურის 1-ლი საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ვ. ჩხეიძე)

7. ქ. ჭიათურის მე-2 ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ლ. აბდუშელიშვილი)

8. გორის რაიონის სოფელ სკრის ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ა. გოგიაშვილი)

9. ადიგენის რაიონის სოფელ მთაყანობილის საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე თ. ბოჩიკაშვილი)

10. ადიგენის საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე თ. ქომეთიანი)

11. ასპინძის რაიონის სოფელ საროს საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე უ. წითლანაძე)

12. ახალქალაქის მე-2 საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ჯ. გრიგორიანი)

13. ქ. გორის მე-5 საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე რ. მარგველაშვილი)

14. ქ. გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ლ. რიკრიკაძე)

15. ქ. გორის სახალხო განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგე ა. დიდებელი

16. ქ. ზუგდიდის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე გ. ფირცხალავა)

17. ქ. ზუგდიდის მე-19 ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ლ. მიქავა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. ქ. ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე მ. ჯოლია)

19. ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე მ. ჯიქია).

20. ვანის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ნ. ფარცხალაძე)

21. გარდაბნის რაიონის ვარკეთილის დასახლების ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ს. ყურაშვილი)

22. გეგეჭკორის ცენტრალური საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე კ. გეგენავა)

23. ქ. ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ზ. ვალეევა)

24. გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის 1-ლი საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე თ. ნიკოლაიშვილი)

25. გურჯაანის მე-2 ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე დ. როსტომაშვილი)

26. დუშეთის რაიონის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ნ. პაპკიაური)

27. ქარელის 1-ლი საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ლ. ყიფიანი)

28. ქარელის აგურის შაქრის კომბინატის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ე. ბარჯავა)

29. კასპის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ქ. ბოგვერაძე)

30. ორჯონიკიძის (ხარაგაული) რაიონის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ე. კიკნაძე)

31. ორჯონიკიძის რაიონის სოფელ წყალფორეთის საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე გ. ხარატიშვილი)

32. საგარეჯოს 1-ლი საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ნ. კუდერძიშვილი)

33. საგარეჯოს რაიონის მე-2 ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ნ. კუჭუაშვილი)

34. სამტრედიის მე-2 ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ქ. მამარდაშვილი)

35. საჩხერის მე-2 ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ლ. პაპიძე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორის საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ლ. წერეთელი)

37. თერჯოლის მე-2 ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ლ. ნემსიწვერიძე)

38. ხობის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ზ. ცხომარია)

39. ხობის რაიონის ხეთის ბაგა-ბაღი (გამგე ზ. ხასია)

40 .წულუკიძის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ლ. დანგაძე)

41. წულუკიძის აბრეშუმძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის საბავშვო ბაღის კოლექტივი

42. ჩხოროწყუს ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე მ. კვირტია)

43. ჩოხატაურის ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ი. ჩანტლაძე)

44. ცაგერის საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ვ. გოლეთიანი)

45. ცაგერის რაიონის სოფელ ლასურიაშის საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ზ. ხმელიძე)

46. აბაშის რაიონის სოფელ ეწერის საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ლ. გორგოტაძე)

47. წყალტუბოს 1-ლი საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე თ. კიკალიშვილი)

48. წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის საბავშქვო ბაღის კოლექტივი (გამგე თ. კუხალეიშვილი)

49. მცხეთის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ნ. სუხიაშვილი)

50. ონის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ი. სირბილაძე)

51. თელავის მე-3 ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ნ. არსენიშვილი)

52. თელავის რაიონის ვარდისუბნის ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე შ. ფარესიშვილი)

53. თელავის 1-ლი საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ქ. გამხეტელაშვილი)

54. ამბროლაურის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ი. თხილურელი)

55. მახარაძის მე-2 ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე მ. ტრაპაიძე)

56. მახარაძის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე თ. თავაძე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

57. მახარაძის რაიონის სოფელ ანასეულის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ლ. გელაშვილი)

58. მარნეულის რაიონის დაბა შაუმიანის საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ლ. გრიგორიანი)

59. ლაგოდეხის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ქ. ჩიკვაიძე)

60. ცხაკაიის ხალიჩების კომბინატის ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ლ. ლაბარტყავა)

61. ცხაკაიის მე-4 ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ნ. ჭანტურია)

62. ხაშურის ა/კ რკინიგზის 96-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ე. გელაშვილი)

63. ხაშურის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ც. გორგიშელი)

64. ტყიბულის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი (გამგე ე. ლეშკაშელი)

65. წალენჯიხის მე-2 საბავშვო ბაღის კოლექტივი (გამგე ვ. ცანავა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1981 წლის 27 თებერვლის

ბრძანება № 138

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში სამხედრო-სასწავლო იარაღების შენახვისა და დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ ბოლო დროს გახშირდა რესპუბლიკის საშუალო სკოლებიდან სამხედრო-სასწავლო იარაღების გატაცების შემთხვევები. ზოგიერთმა სახალხო განათლების განყოფილებამ და სკოლის ხელმძღვანელმა საგრძნობლად შეანელა ყურადღება სამხედრო-სასწავლო იარაღების მოვლის, შენახვისა და დაცვისადმი, რასაც შედეგად მოჰყვა 1980 წელს ქ. თბილისის 23-ე და 156-ე, მცხეთის რაიონის ზაჰესის, კასპის საშუალო სკოლა-ინტერნატში, ახმეტის 1-ელ და წალენჯიხის რაიონის ჯვარის საშუალო სკოლებში იარაღების გატაცების შემთხვევები.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენას ხელს უწყობს ზოგიერთი საშუალო სკოლის დირექტორის, სამხედრო ხელმძღვანელის, ელექტრიკოსის, მნესა და დარაჯის დაუდევრობა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლობა. იარაღების გატაცების მთავარი მიზეზია სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული იარაღების შენახვის, მოვლისა და დაცვის ინსტრუქციის და აღნიშნულ საკითხზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

განათლების განყოფილებები იშვიათად ამოწმებენ სამხედრო-სასწავლო იარაღების შენახვისა და დაცვის მდგომარეობას სკოლებში. იარაღების შესანახი ოთახები ბევრ სკოლაში არადამაკმაყოფილებლადაა მოწყობილი, ფანჯრებს არა აქვს გაკეთებული ლითონის ბადურა და რკინის გისოსები, რკინის კარადებზე და სეიფებზე დამონტაჟებული არ არის გამაფრთხილებელი სიგნალიზაცია. ოთახის კედლები, ჭერი და იატაკი ტექნიკურად გაუმაგრებელია და არა აქვს ორმაგი კარები საიმედო საკეტებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგნალიზაციის საშუალებების სწორად გამოყენებაზე დაწესებული არაა მუდმივი კონტროლი, ხოლო მისი შეფერხების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაციისა და სახალხო განათლების ორგანოების მიერ დროულად არ ტარდება სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები.

იმ მიზნით, რომ სავსებით გამორიცხულ იქნას სკოლიდან იარაღების დაკარგვისა და გატაცების შესაძლებლობა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

— ადგილობრივი სამხედრო კომისარიატებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით:

1981 წლის 30 მარტამდე გულდასმით შეამოწმონ ქალაქის (რაიონის) ყველა საშუალო სკოლაში სამხედრო-სასწავლო იარაღების მოვლისა და შენახვის მდგომარეობა და მიიღონ გადაუდებელი ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— ა/წ 15 მაისამდე ყველა სასწავლო ავტომატს ლულის 1/3 ნაწილზე გაუკეთონ სიგრძივი ჭრილი (სამიზნის სისტემიდან გაზამრიდ მილაკამდე);

— მცირეკალიბრიანი შაშხანები დატოვებულ იქნას მხოლოდ იმ საშუალო სკოლებში, სადაც აქვთ სასროლი ტირი, იარაღების შესანახი ოთახები მოწყობილია მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად და სავსებით გამორიცხულია იარაღების გატაცების ყოველგვარი საშუალება;

— განუხრელად გაატარონ იარაღების მოვლისა და შენახვის მოქმედი ინსტრუქციისა და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს 1980 წლის 26 დეკემბრის № 86 წერილის მოთხოვნები და ა/წლის 20 მაისამდე სრულ წესრიგში მოიყვანონ იარაღების შესანახი ოთახები. ყველა რკინის კარადაზე და სეიფზე დაამონტაჟონ სიგნალიზაცია და უზრუნველყონ იარაღების შესანახი ოთახების ტექნიკურად გამაგრება, რათა რკინის სეიფებში ინახებოდეს იარაღების საკეტები და ვაზნები, ხოლო რკინის კარადებში — უსაკეტო იარაღები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— 1981 წლის 10 ივნისამდე იარაღების შესანახი ოთახები ჩართულ იქნას ცენტრალურ პულტზე იმ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, სადაც მუშაობენ არასაუწყებო დაცვის ცენტრალური სამეთვალყურეო პულტები;

— როგორც წესი, თვეში სამჯერ შეამოწმონ თითოეულ სკოლაში იარაღების მოვლისა და შენახვის მდგომარეობა და შედეგები პერიოდულად მოისმინონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე;

— ყოველმხრივ შეამოწმონ ღამის დარაჯების პირადი შემადგენლობა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის შეუფერებელი პირები დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ სამუშაოდან;

— 1981 წლის 1 მარტიდან შემოღებულ იქნას იარაღების შესანახი ოთახის შემოწმებისა და ღამის დარაჯების სამსახურის ყოველდღიური შემოწმების ჟურნალი;

— გადასინჯონ ელექტრიკოსების შემადგენლობა. ამ თანამდებობაზე დანიშნონ პირები, რომლებსაც აქვთ ელექტრომონტიორის მესამე თანრიგი და შეუძლიათ უზრუნველყონ სიგნალიზაციის საშუალებების შეუფერხებელი მუშაობა და გეგმაზომიერად ჩაატარონ სიგნალიზაციის აპარატისა და ელექტროგაყვანილობის ხაზების პროფილაქტიკური სამუშაოები .დააწესონ სათანადო კონტროლი მათ მუშაობაზე, მიღწეულ იქნას, რომ ყველა სკოლაში დამცავ-გამაფრთხილებელი სიგნალიზაცია მუშაობდეს შეუფერხებლად;

— ადგილობრივ შინაგან საქმეთა ორგანოებთან და სამხედრო კომისარიატებთან ერთად ყოველწლიურად ჩაატარონ სპეციალური სემინარი სკოლების დირექტორებთან, სამხედრო ხელმძღვანელებთან, ელექტრიკოსებთან და ღამის დარაჯებთან;

— მოქმედი ინსტრუქციის მოთხოვნათა ყოველი დარღვევა დაუყოვნებლივ განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და საშუალო სკოლების დირექტორები და სამხედრო ხელმძღვანელები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ იარაღების შენახვისა და მათი საიმედოდ დაცვის საქმეს გაათავისუფლონ დაკავებული თანამდებობიდან;

— 1981 წლის 5 ივნისამდე გადაწყვიტონ ზაფხულის პერიოდში იარაღების შენახვისა და საიმედოდ დაცვის საკითხი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანების შესრულების შესახებ წარმოადგინონ 1981 წლის 1 ივლისამდე.

2. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორებმა:

მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად ა/წლის 15 მაისამდე სრულ წესრიგში მოიყვანონ იარაღების შესანახი ოთახები, არ დაუშვან ინსტრუქციის მოთხოვნათა დარღვევა და გააძლიერონ ყოველდღიური კონტროლი დამცავ-გამაფრთხილებელი სიგნალიზაციის შეუფერხებელ მუშაობასა და ლამის დარაჯების მიერ სამორიგეო სამსახურის შესრულებაზე, მიიღონ გადამჭრელი ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ იმ სკოლების დირექტორებს და სამხედრო ხელმძღვანელებს, სადაც ადგილი ქონდა იარაღების დაკარგვის შემთხვევებს, დაედოთ მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი.

4. დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ორახელაშვილი) სისტემატურად შეამოწმოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში სამხედრო-სასწავლო იარაღების მოვლისა და დაცვის მდგომარეობა და განახორციელოს ქმედითი კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე.

მინისტრი ო. ჭინჭლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1981 წლის 4 მარტის

ბრძანება № 147

რესპუბლიკის სასამართლოებში სახალხო განათლების მუშაკთა სამუშაოზე აღდგენის თაობაზე 1980 წელს განხილული საქმეების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ადმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან დათხოვნილთა რაოდენობა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა და 1980 წელს 39 კაცი შეადგინა. მათგან 18, ე. ი. 43%, სასამართლო ორგანოების მიერ აღდგენილია სამუშაოზე, რომელთაც არასრული ცნობებით აუნაზღაურდათ 2640 მან. განაცდური დროის ხელფასის სახით.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოდან დათხოვნილთა შორის 20 მასწავლებელია, რომელთაგან უმრავლესობა სამუშაოდან გათავისუფლებულია, როგორც დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებელი.

ამ მოტივით მასწავლებელთა სამუშაოდან გათავისუფლება უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ატესტაციაზე მათი გატარების გზით, რაც დაზოგავდა სასამართლო ორგანოებში დროის უქმად დაკარგვასა და განაცდური ხელფასის სახით ანაზღაურებულ თანხასაც.

შრომის კანონმდებლობის უხეშ დარღვევას ადგილი ქონდა კასპის რაიონის მე-2 საშუალო სკოლაში (განყოფილების გამგე გ. შაქარაშვილი), სადაც მორიგ შვებულებაში ყოფნის დროს სამუშაოდან დათხოვნის გამო სასამართლო იძულებული იყო მასწავლებელი ლ. თათარაშვილი აღედგინა სამუშაოზე და მიეცა განაცდური დროის ხელფასი 502 მან. ოდენობით.

ამავე რაიონის სოფელ აღაიანის საშუალო სკოლის დირექტორმა ლ. ელისაბედაშვილმა სამუშაოდან უკანონოდ გაათავისუფლა ორსულად მყოფი ლაბორანტი დ. ქენქაძე, რომელიც, აგრეთვე, აღდგენილ იქნა სამუშაოზე და განაცდენი დროის ხელფასის ანაზღაურება პირადად სკოლის დირექტორს დაეკისრა.

მიუხედავად იმისა, რომ მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლების ბრძანებას ხელს უნდა აწერდეს დაწესებულება-ორგანიზაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებამოსილი ხელმძღვანელი, არის შემთხვევები, როდესაც მას ხელს აწერენ რიგითი მუშაკები (მაგალითად კასპის რაიონში ბრძანება ხელმოწერილია განათლების განყოფილების ინსპექტორის მიერ და სხვ.).

სამუშაოდან მუშაკთა დათხოვნის ბრძანებები, ზოგჯერ, არ არის გაფორმებული შრომის კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, რის გამოც შეუძლებელი ხდება დათხოვნის კონკრეტული მიზეზის დადგენა.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული თანამდებობის პირთა სამართლებრივი ცოდნის ამაღლების მიზნით განათლების სამინისტროს, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტისა და საშუალო სკოლების დირექტორების კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება მაინც ადგილი აქვს ადმინისტრაციის ინიციატივით ადგილკომთან წინასწარი შეთანხმების გარეშე მასწავლებლებისა და სხვა მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნის უხეშ დარღვევებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა:

— აღმოხფვრან, შრომის კანონმდებლობის განუხრელად დაცვის გზით, ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი სკოლებში, სკოლამდელი, სკოლისგარეშე და სახალხო ორგანოებისადმი დაქვემდებარებულ სხვა დაწესებულება-ორგანიზაციებში;

— განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი და დააწესონ სისტემატური კონტროლი მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის საქმეზე.

2. განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა აკრძალონ მათთან შეთანხმების გარეშე დაქვემდებარებულ დაწესებულებებიდან ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკების დათხოვნა.

3. განათლების განყოფილებებმა და განათლების სისტემის სხვა დაწესებულება-ორგანიზაციებმა დათხოვნის საკითხის სამართლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივად სწორად გადაწყვეტის მიზნით ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი იურიდიული კონსულტაციები, როგორც საზოგადოებრივ, ისე სახელშეკრულებო საწყისებზე.

4. სამინისტროს მთავარმა იურისკონსულტმა (ამხ. ვ. კეშელავა) წელიწადში ორჯერ — ივლისსა და იანვარში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში შეაჯამოს სახალხო განათლების დარგის მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის მასალები და შედეგების შესახებ მოახსენოს განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობას.

5 .მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს კპ კასპის რაიკომმა 1980 წლის 19 დეკემბერს განიხილა საკითხი კასპის რაიონის სკოლებში შრომის კანონმდებლობის დარღვევის შესახებ და განყოფილების გამგეს ამხ. გ. შაქარაშვილს დაადო სასჯელი, ხოლო აღაიანის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის ლ. ელისაბედაშვილის მიმართ დაკმაყოფილდა ადრე გატარებული ადმინისტრაციული ღონისძიებით.

6. გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) ხშირად გამოაქვეყნოს მასალები შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესახებ და კონსულტაციები მათი განმარტების მიზნით.

7. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) და მთავარმა იურისკონსულტმა (ამხ. ვ. კეშელავა) კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება.

მინისტრი **ო. ქინჭლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

გადაწყვეტლება — ინტერნატულ დაწესებულებებში სასწავლო-საცდელი ნაკვეთებისა და დამხმარე მეურნეობების შესახებ	3
ბრძანება № 49 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ყველა ტიპის სკოლებში ბეჭდის, შტამპისა და აბრის ახალი ნიმუშის შემოღების შესახებ	16
Приказ № 49 — О введении новых образцов печатей, штампов и вывесок в школах всех типов системы Министерства просвещения ГССР	21
გადაწყვეტილება — რესპუბლიკის სახალხო განათლების ზოგიერთი განყოფილების მიერ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე მისავლინებელი კონტინგენტის 1980 წლის გეგმის შეუსრულებლობის შესახებ . . .	26
გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გაღრმავებული შრომითი სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ	29
ბრძანება № 109 — სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 25 ნოემბრის დადგენილების სარეალიზაციო ღონისძიებათა შესახებ	54
ბრძანება № 138 — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სამუალო სკოლებში სამხედრო-სასწავლო იარაღების შენახვისა და დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ	95
ბრძანება № 147 — რესპუბლიკის სასამართლოებში სახალხო განათლების მუშაკთა სამუშაოზე აღდგენის თაობაზე 1980 წელს განხილული საქმეების შესახებ	99

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 11/VI-81 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VIII-81 წ;
ანაწყობის ზომა 6×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 6,8;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,75.

შეკვ. № 590 უე 14132 ტირაჟი 6 000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7.

Типография Министерства просвещения ГССР, Нуцубидзе 7.

ეროვნული
ბიბლიოთეკა